შორენა ჯანხოთელი

"მეწარმეთა შესახებ"

საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილი

კითხვა–პასუხებში

თბილისი 2001

წინამდებარე წიგნში კითხვა-პასუხების სახით წარმოდგენილია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილი.

გაშუქებული საკითხები და მათ გარშემო მოყვანილი ტესტები პრობლემაში უკეთ გარკვევის შესაძლებლობას იძლევა.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასპირანტებისათვის, სამეწარმეო სამართლის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი:

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
ლალი ლაზარაშვილი

© შორენა ჯანხოთელი თბილისი, 2001 წელი

ISBN 99928-844-6-0

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც საქართველოში მიღებული იქნა "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მაგრამ უკვე აშკარაა ის პოზიტიური ცვლილებები და დადებითი სამართლებრივი შედეგები, რაც სწორედ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიერ სამეწარმეო ურთიერთობების შესაბამისი საკითხების ახლებური დარეგულირებით იქნა მიღწეული.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მკითხველი დამეთანხმება, რომ ჩვენ ყველანი განვიცდით "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონთან დაკავშირებული სამართლებრივი ლიტერატურის ნაკლებობას.

ჩემს მიერ შემოთავაზებული წიგნი, ვფიქრობ, გარკვეულწილად დაგეხმარებათ და გაგიიოლებთ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესწავლას.

მასში კითხვა-პასუხის სახით არის გადმოცემული "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილი.

კითხვა-პასუხები აგებულია შესაბამისი მუხლების მიხედვით და იგი მთლიანად მოიცავს მუხლში გადმოცემულ ნორმებს. თითოეულ მუხლს კითხვა-პასუხების შემდეგ თან ერთვის ტესტები, რაც დაეხმარება დაინტერესებულ პირებს შეამოწმონ მიღებული ცოდნა.

წიგნი უმეტესად განკუთვნილია სტუდენტებისა და სამეწარმეო სამართლის მასწავლებლებისათვის, თუმცა, მიმაჩნია, რომ იგი ასევე უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს მეწარმეებსა და სამეწარმეო საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირებს.

წიგნის მოშზადებას ხელი შეუწყო ჩემს მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ჩატარებული სასემინარო მუშაობების დროს დანახულმა დაინტერესებამ და ყურადღებიანმა მიდგომამ საკითხის შესწავლის ამგვარი მეთოდისადმი.

წარმოდგენილი წიგნის მიზანია დაინტერესებულ პირებს უფრო გაუადვილოს და ეფექტური გახადოს მათ მიერ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესავლა და მისი ნორმების შემეცნება.

და ბოლოს, სიამოვნებით მივიღებ წარმოდგენილ წიგნთან დაკავშირებულ წინადადებებსა და შენიშვნებს, რომელიც გათვალისწინებული იქნება და დამეხმარება წინამდებარე წიგნის მეორე ნაწილის გამოცემაში.

იმედი მაქვს, მკითხველი ინტერესითა და ყურადღებით გაეცნობა წარმოდგენილ წიგნს. დიდად კმაყოფილი ვიქნები, თუ იგი თქვენთვის გახდება პრაქტიკული ღირებულების მქონე და დაგეხმარებათ საქმიანობაში.

შორენა ჯანხოთელი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. რას აწესრიგებს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი?

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს.

2. როგორი სახის საქმიანობა მიიჩნევა სამეწარმეო საქმიანობად?

სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა:

1. მართლზომიერი და
2. არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება
3. მოგების მიზნით,
4. დამოუკიდებლად და
5. ორგანიზებულად.

სამეწარმეო საქმიანობის მართლზომიერებაში იგულისხმება, რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლის მოქმედ ნორმებს, ასევე ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და საჯარო წესრიგს.

სამეწარმეო საქმიანობის დამახასიათებელი შემდეგი ნიშანი - არაერთჯერადობა გულისხმობს, რომ იგი უნდა ხორციელდებოდეს სისტემატიურად.

რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას მოგების მიზნით, გადამწყვეტია პირის სურვილი მიიღოს მოგება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებით.

სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლობაში იგულისხმება მისი განმახორციელებელი პირის მხოლოდ სამართლებრივი

დამოუკიდებლობა.

სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებულად განხორციელება კი ნიშნავს, რომ მეწარმე მოწყობილი უნდა იყოს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, ჰქონდეს მმართველობის ორგანოები, იყოს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში და სხვა.

3. <u>რომელი სახის საქმიანობა არ ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად?</u>

სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, საუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ზემოაღნიშნული საქმიანობები არ ითვლება სამეწარმეო საქმიანობად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახორციელებენ ფიზიკური პირები. მაგრამ თუ მას განახორციელებს იურიდიული პირი, სახეზე იქნება სამეწარმეო საქმიანობა.

4. <u>რა შემთხვევაშია სავალდებულო სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებების რეგისტრაცია</u>?

სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებების რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.

რეგისტრაციის შემთხვევაში აღნიშნული საწარმოები შეიძლება არსებობდნენ შესაბამისად როგორც ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება ან კოოპერატივი.

ტესტები

1. "მეწარმეთა შესახებ" კანონი აწესრიგებს:

ა. საწარმოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის პროცესში მიღებული შემოსავლების დამფუძნებელთა შორის განაწილების წესს;

ბ. სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ. სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს;

დ. სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის პროცედურასა და მათ უფლება-მოვალეობებს.

2. სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება:

ა. პირის მიერ განხორციელებული სახელოვნებო, საადვოკატო, სანოტარო, სააუდიტო და მათი მსგავსი სხვა საქმიანობა;

ბ. ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას;

გ. ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული სახელოვნებო, საადვოკატო, სანოტარო, სააუდიტო, სამეცნიერო და სამედიცინო საქმიანობა;

დ. პირის მიერ განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობა.

3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ:

ა. საწარმოში სეზონურად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი მინიმუმ ხუთი წევრი;

ბ. საწარმოში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი წევრი მაინც;

გ. საწარმო საქმიანობას ახორციელებს მოგების მიღების მიზნით;

დ. ამას ითხოვენ საწარმოს მფლობელები.

მუხლი 2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. მათი დაფუძნება

5. საწარმოთა რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია გათვალისწინებული "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით?

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი აღგენს საწარმოთა მხოლოდ შემდეგ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

6. რას წარმოადგენს ინდივიდუალური მეწარმე?

ინდივიდუალური მეწარმე არის ფიზიკური პირი, განსხვავებით საწარმოთა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

7. რა აუცილებელი ნიშნებით ხასიათდება ინდივიდუალური მეწარმე?

ინდივიდუალურ მეწარმეს ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები:

ა. იგი წარმოადგენს ფიზიკურ პირს,

ბ. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის თავისი სახელით,

გ. მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის

აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია,

დ. მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია ასევე მოწესრიგებული საკასო და საბულალტრო საქმე.

8. შეიძლება თუ არა საწარმოს ჰყავდეს 50-ზე მეტი პარტნიორი?

საწარმოს, გარდა კოოპერატივისა, არ შეიძლება ჰყავდეს ორმოცდაათზე მეტი პარტნიორი, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია საწარმო ჩამოყალიბდეს მხოლოდ როგორც საქციო საზოგადოება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ კანონის აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მხოლოდ კოოპერატივზე.

9. არის თუ არა საკალდებულო საწარმოს რეგისტრაცია?

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საწარმოს რეგისტრაცია საკალდებულოა.

10. რა მომენტიდან წარმოიშობა საწარმო, როგორც კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი?

საწარმო, როგორც „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

11. აქვს თუ არა უფლება საწარმოს რეგისტრაციამდე განახორციელოს რაიმე მოქმედება?

შესაძლებელია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება საწარმოს რეგისტრაციამდეც, მაგრამ ამას კანონი უკავშირებს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით მაინც განხორციელდება რაიმე მოქმედება,

ამ მოქმედების შემსრულებელები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, შესაბამისი მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ამასთან, აღნიშნული პასუხისმგებლობა ძალაში რჩება რეგისტრაციის შემდეგაც.

12. <u>რომელი საწარმოები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს?</u>

იურიდიულ პირებს წარმოადგენენ:

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება,
2. კომანდიტური საზოგადოება,
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება,
4. სააქციო საზოგადოება და
5. კოოპერატივი.

13. <u>წარმოადგენს თუ არა იურიდიულ პირს ინდივიდუალური მეწარმე?</u>

ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. საქმიან ურთიერთობებში ინდივიდუალური მეწარმე თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს როგორც ფიზიკური პირი.

14. <u>რა ფორმით უნდა იყოს შედგენილი საზოგადოების წესდება?</u>

საზოგადოების წესდება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და დამოწმდეს სანოტარო წესით.

15. <u>ვინ უნდა მოაწეროს ხელი საზოგადოების წესდებას?</u>

საზოგადოების წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების მონაწილენი - დამფუძნებელი პარტნიორები.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ კანონი შესაძლებელად მიიჩნევს ხელმოწერას რწმუნებულის მეშვეობით. ამასთან,

აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

16. <u>არის თუ არა სავალდებულო წესდებაში ცვლილებების შეტანისას წესდებას ხელი მოაწერონ საზოგადოების პარტნიორებმა?</u>

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად წესდებაში ცვლილებების შეტანისას წესდებაზე პარტნიორთა ხელმოწერა არ მოითხოვება.

17. <u>შეიძლება თუ არა წესდებას ხელი მოაწეროს პარტნიორის წარმომადგენელმა?</u>

კანონი შესაძლებელად მიიჩნევს ხელმოწერას რწმუნებულის მეშვეობით. ამასთან, აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

18. <u>შეიძლება თუ არა საზოგადოების დამფუძნებლებმა წესდებით დაადგინონ დამატებითი წესები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით?</u>

საზოგადოების წესდებით შეიძლება დადგენილი იქნეს დამატებითი წესები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. ეს აკრძალული არ არის კანონით ან/და

2. ეს წესები არ ცვლის სამეწარმეო საზოგადოებათა ფორმების შესახებ კანონით განსაზღვრულ დებულებებს.

ტესტები

1. <u>საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია:</u>

ა. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და საინვესტიციო საწარმო;

ბ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი, კომანდიტური საზოგადოება და ინდივიდუალური საწარმო;

გ. კოოპერატივი, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სახაზინო საწარმო, სააქციო საზოგადოება და ინდივიდუალური მეწარმე;

დ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი, კომანდიტური საზოგადოება, ერთი პირის საწარმო და სხვა საწარმოები.

2. <u>ინდივიდუალური მეწარმე სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის:</u>

ა. თავისი სახელით;

ბ. დამფუძნებლისა და დირექტორის სახელით;

გ. დირექტორის სახელით;

დ. იმ პირის სახელით, ვისაც წარმომადგენლობით უფლებამოსილებას მიანიჭებს დირექტორი.

3. <u>საწარმო, როგორც კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა:</u>

ა. დირექტორის მიერ წესდებაზე ხელმოწერის მომენტიდან;

ბ. პარტნიორთა მიერ დირექტორის დანიშვნის შემდეგ;

გ. სადამფუძნებლო დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ;

დ. სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

4. <u>ინდივიდუალური მეწარმე წარმოადგენს:</u>

ა. იურიდიულ პირს, ისევე როგორც კოოპერატივი;

ბ. ფიზიკურ პირს;

გ. როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს;

დ არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომლის რეგისტრაციაც წარმოებს სასამართლოში.

5. საზოგადოების დაფუძნებისას სავალდებულოა წესდებას ხელს აწერდნენ:

ა. საზოგადოების დირექტორები;

ბ. როგორც საზოგადოების დირექტორი, ისე სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;

გ. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და დირექტორები;

დ. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები.

მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები

19. როგორ განისაზღვრება ინდივიდუალური მეწარმის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე?

ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად ანუ შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

ზემოაღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ინდივიდუალური მეწარმის პირადი ქონება იმავდროულად მისი სამეწარმეო საქმიანობის ქონებაცაა.

20. როგორ განისაზღვრება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე?

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

21. როგორ განისაზღვრება კომანდიტურ საზოგადოებაში კომპლემენტარების პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე?

კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარები (საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების მსგავსად, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

22. რა იგულისხმება პარტნიორების სოლიდარულ პასუხისმგებლობაში?

საზოგადოების კრედიტორების წინაშე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა გულისხმობს თითოეული პარტნიორის ვალდებულებას პასუხი აგოს კრედიტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისათვის უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

23. შესაძლებელია თუ არა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარები შეთანხმდნენ, რომ საზოგადოების კრედიტორების წინაშე მათი პასუხისმგებლობა არ იყოს სოლიდარული?

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისა და კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარების პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე უნდა იყოს მხოლოდ სოლიდარული.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირებისათვის.

24. რომელ ვალუტაში უნდა განხორციელდეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ფულადი შესატანის შეტანა?

საზოგადოების დაფუძნებისას, ასევე საწესდებო კაპიტალის

გაზრდისას, ფულადი შესატანის დათქმა და შეტანა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ვალუტით, ოღონდ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში თანხის აღნიშვნა უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში.

25. <u>რა სახის ობიექტების შეტანაა შესაძლებელი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში?</u>

გარდა ფულადი შესატანისა, საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესატანი შეიძლება განხორციელდეს სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახითაც (არაფულადი შესატანი).

26. <u>რა წესით ხდება ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების ღირებულების განსაზღვრა?</u>

ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების ღირებულებას შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებებში აფასებს ანუ მათ ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტი-აუდიტორი.

27. <u>როგორ მოხდება არაფულადი შესატანის შევსება დათქმულ ოდენობამდე, თუ არაფულადი შესატანის ობიექტის ღირებულება დათქმულ თანხაზე ნაკლებია?</u>

თუ არაფულადი შესატანის ობიექტის ღირებულება არასაკმარისია, მისი შევსება უნდა მოხდეს ფულით.

28. <u>შეიძლება თუ არა პარტნიორისათვის არაფულადი შესატანის ღირებულების იმ ნაწილის უკან დაბრუნება, რომელიც აღემატება დათქმულ თანხას?</u>

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თუ არაფულადი შესატანის ღირებულება აღემატება დათქმულ თანხას, ზედმეტი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.

29. <u>რა წესით ხდება შესატანის უკან დაბრუნება კომანდიტურ,</u>

შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივში?

შესატანის უკან დაბრუნება კომანდიტურ, შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივში „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით.

აღნიშნულის თაობაზე აუცილებელია შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საზოგადოების წესდებაში. ამასთანავე აუცილებელია საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაცია მოხდეს სამეწარმეო რეესტრში.

30. როგორ განისაზღვრება პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე მის მიერ შესატანის სრული ოდენობით შეტანამდე?

კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერი, კოოპერატივის დამფუძნებელი წევრი შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მის მიერ შეუტანელი შესატანის ოდენობით.

31. რა ვადაში უნდა შეიტანოს პარტნიორმა დათქმული შესატანი საწესდებო კაპიტალში?

პარტნიორის მიერ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესატანის ნახევარი შეტანილი უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ შეიძლება საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული იყოს უფრო მეტის შეტანაც.

32. რა ვადაში უნდა იქნეს შეტანილი პარტნიორების მიერ საწესდებო კაპიტალში შეუტანელი შესატანი?

პარტნიორების მიერ საწესდებო კაპიტალში შესატანის

შეუტანელი ნაწილის შეტანის ვადა განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

33. <u>რა ზომები შეიძლება იქნეს მიღებული იმ პარტნიორის მიმართ, რომელმაც გადააცილა შესატანის შეტანის ვადა?</u>

თუ პარტნიორი გადააცილებს შესატანის შეტანის ვადას, მას პარტნიორების მიერ მიეცემა წერილობითი გაფრთხილება და დაენიშნება გადახდის დამატებითი ვადა (რომელიც უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ერთ თვეს). აღნიშნული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორთა მიერ შეიძლება იქნეს მიღებული გადაწყვეტილება მისი საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ.

ამასთანავე დავამატებთ, რომ გარიცხული პარტნიორი კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც.

34. <u>პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში მოხდება თუ არა მისი გათავისუფლება საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობისაგან?</u>

გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება, ხოლო არაფულადი შესატანის შემთხვევაში იგი შეიცვლება შესაბამისი ფულადი თანხით.

35. <u>პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში როგორ განაწილდება მისი შეუსრულებელი შესატანი სხვა პარტნიორებს შორის?</u>

თუ დამფუძნებელი პარტნიორების მიერ შესატანის შეუტანლობის გამო არ შეივსება ამ ფორმის საწარმოსათვის დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი, შეუსრულებელი შესატანი ნაწილდება სხვა დამფუძნებელ პარტნიორებს შორის, გარდა სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებების პარტნიორებისა, მათ წილთა პროპორციულად.

36. <u>როგორ უნდა განხორციელდეს საწესდებო კაპიტალის შემცირება პარტნიორთა პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრელი შესატანების უკან დაბრუნებისას?</u>

საწესდებო კაპიტალის შემცირება იმ შესატანების უკან დაბრუნების გზით იმ შესატანების მიმართ, რომლებიც პარტნიორების პასუხისმგებლობის მოცულობას განსაზღვრავენ, შეიძლება განხორციელდეს საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციიდან და გამოქვეყნებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

37. <u>რა იურიდიული შედეგი მოჰყვება პარტნიორისათვის შესატანის უკან დაბრუნებას საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებული შემცირების გარეშე?</u>

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 3.6. მუხლის თანახმად, თუ რომელიმე პარტნიორს შესატანი უკან დაუბრუნდება საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებული შემცირების გარეშე, კრედიტორისათვის ეს დაბრუნებად არ მიიჩნევა. შესაბამისად იგი ვალდებულია საზოგადოებას დაუბრუნოს მიღებული თანხა.

38. <u>შეიძლება თუ არა და თუ შეიძლება, რა შემთხვევებშია შესაძლებელი პარტნიორებისათვის თანაბარ პირობებში არათანაბარი უფლება-მოვალეობების მინიჭება?</u>

თანაბარ პირობებში პარტნიორებს აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები.

აღნიშნულიდან შესაძლებელია გამონაკლისებიც, კერძოდ, თუ:

1. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი იქნება განსხვავებული წესი პარტნიორის პირად პასუხისმგებლობასა და კაპიტალის კვოტასთან დაკავშირებით;

2. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე შემოთავაზებული იქნება სხვაგვარი მოწესრიგება.

39. ინფორმაციის მიღების, კონტროლისა და შემოწმების რა უფლებებით სარგებლობენ პარტნიორები საზოგადოებაში?

საზოგადოების ყოველ პარტნიორს აქვს საზოგადოების წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება.

გარდა ამისა, საზოგადოების პარტნიორს უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს.

საბუღალტრო წიგნების გაცნობა პარტნიორს შეუძლია როგორც უშუალოდ, ისე დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით.

ასევე პარტნიორს უფლება აქვს საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს წლიური ანგარიშის დამტკიცებამდე განმარტებები მის შესახებ.

40. წლიური ანგარიშის არასწორად შედგენის შემთხვევაში ვის ეკისრება შემოწმების ხარჯების ანაზღაურება - საზოგადოებას თუ იმ პარტნიორს ვინც შემოწმება მოითხოვა?

წლიური ანგარიშის არასწორად შედგენის შემთხვევაში ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯების გადახდა ეკისრება საზოგადოებას.

41. რა შემთხვევაშია შესაძლებელი პარტნიორისათვის საზოგადოების შემოწმებისა და კონტროლის უფლების შეზღუდვა?

საზოგადოების კონტროლისა და შემოწმების უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით. მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3, 53.3.2, 53.3.3. მუხლები.

42. შესაძლებელია თუ არა პარტნიორის მიერ საზოგადოების

შემოწმებისა და კონტროლის უფლების გაფართოება და რა წესით?

პარტნიორის კონტროლისა და შემოწმების უფლებების გაზრდა შესაძლებელია თვით საზოგადოების წესდებით ან შესაბამისი კანონით.

ტესტები

1. კომპლემენტარები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ:

   ა. საზოგადოების კაპიტალში თავიანთი წილის ფარგლებში;

   ბ. შენატანების პროპორციულად;

   გ. საგარანტიო თანხის ფარგლებში;

   დ. სოლიდარულად.

2. თუ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილი არაფულადი შენატანის ღირებულება აღემატება დათქმულ თანხას, ზედმეტი თანხა:

   ა. უბრუნდება პარტნიორს;

   ბ. ირიცხება საწარმოს სარეზერვო ფონდში;

   გ. თანაბრად ნაწილდება დამფუძნებელ პარტნიორებს შორის;

   დ. დაუშვებელია დაუბრუნდეს პარტნიორს.

3. წესდების ხელმოწერისთანავე საზოგადოების საწესდებო კაპიტალში დამფუძნებლის მიერ შეტანილი უნდა იქნეს:

   ა. შესატანის ნახევარი მაინც;

   ბ. შენატანი სხვა პარტნიორთა მიერ განხორციელებული შენატანის თანაბრად;

   გ. შესატანის ნახევარი, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს;

   დ. იმ ოდენობით, რასაც დაადგენს საწარმოს დირექტორი.

4. პარტნიორი, რომელმაც გადააცილა შესატანის შეტანის დამატებითი ვადა:

ა. გაირიცხება საზოგადოებიდან;

ბ. კარგავს როგორც წილს, ისე ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებს;

გ. კარგავს მხოლოდ კუთვნილ წილს;

დ. შეიძლება ყოველი პარტნიორის მიერ წერილობით გაფრთხილდეს დარჩენილი შესატანის შეტანის, ამ შესატანის განხორციელების დამატებითი ვადისა და საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ.

5. საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მოთხოვნის უფლება აქვს:

ა. იმ პარტნიორს, რომელიც ფლობს საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს;

ბ. საწესდებო კაპიტალის 25 %-ზე მეტის მფლობელ პარტნიორებს;

გ. ყოველ პარტნიორს;

დ. ნებისმიერ პარტნიორს დირექტორის თანხმობით.

მუხლი 4. სამეწარმეო რეესტრი

43. რომელი ორგანო ახორციელებს საწარმოს რეგისტრაციას და რა წესით?

საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით. ჩანაწერების გაკეთებაში იგულისხმება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ფაქტების შეტანა სამეწარმეო რეესტრის ფორმულარებში.

44. ექვემდებარება თუ არა სამეწარმეო რეესტრის მონაცემები

<u>გამოქვეყნებას?</u>

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს აქვეყნებს სასამართლო ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

<u>45. რომელ სახელმწიფო ორგანოს ეგზავნება სარეგისტრაციო დოკუმენტის ასლი?</u>

სასამართლო დადგენილების ასლს სასამართლო უგზავნის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა.

<u>46. ვის შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მოითხოვოს რეესტრის ამონაწერები?</u>

სამეწარმეო რეესტრის გაცნობისა და რეესტრის ამონაწერების მიღების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ტესტები

<u>1. საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს:</u>

ა. სასამართლო;

ბ. როგორც სასამართლო, ისე კანონით დადგენილ შემთხვევებში იუსტიციის სამინისტრო;

გ. სასამართლო სანოტარო წესით დამოწმებული და იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებული დოკუმენტების წარდგენისას;

დ. იუსტიციის სამინისტრო.

<u>2. სამეწარმეო რეესტრის გაცნობის უფლება აქვს:</u>

ა. ნებისმიერ პარტნიორს პარტნიორთა კრების თანხმობით;

ბ. ნებისმიერ პარტნიორს სასამართლოს განჩინებით;

გ. ნებისმიერ პარტნიორს;

დ. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მუხლი 5. რეგისტრაციის პირობები

47. ვის აქვს უფლება მოითხოვოს საწარმოს რეგისტრაცია?

საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოების ერთ-ერთ პარტნიორს.

48. რას ამოწმებს სასამართლო რეგისტრაციის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ?

სასამართლო რეგისტრაციის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

49. ვინ აწერს ხელს განცხადებას საწარმოს რეგისტრაციის შესახებ?

საწარმოს რეგისტრაციის შესახებ განცხადებას ხელი უნდა მოაწერონ შესაბამისად ინდივიდუალურმა მეწარმემ, საზოგადოების პარტნიორებმა, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოების შესაძლო წევრებმა.

50. ვისი ხელმოწერის ნიმუში წარედგინება სასამართლოს სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად?

სასამართლოს სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად წარედგინება ინდივიდუალური მეწარმის და იმ პირთა ხელმოწერის ნიმუში, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება.

საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ:

-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს-დირექტორები,

-სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას-პარტნიორები,

-კომანდიტურ საზოგადოებას-კომპლემენტარები.

საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში ასევე წარმოადგენენ პროკურისტები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირები.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით არ სარგებლობენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.

ამასთანავე ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ აღნიშნულ პირთა მიერ დატოვებული უნდა იყოს სწორედ ის ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც შემდგომში გამოიყენებენ საქმიან ურთიერთობებში.

51. <u>რა ფორმით უნდა იყოს წარდგენილი სასამართლოში სადამფუძნებლო დოკუმენტები?</u>

სასამართლოში სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუ-მენტები ან მათი ასლები დამოწმებული უნდა იყო სანოტარო წესით.

52. <u>რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი განცხადება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ?</u>

განცხადება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს ინდივიდუალური მეწარმის ან საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით.

53. <u>ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ საზოგადოების შექმნის მიზნით სარეგისტრაციოდ წარდგენილია არასწორი მონაცემები?</u>

თუ საზოგადოების შექმნის მიზნით წარდგენილია არასწორი მონაცემები და ამის გამო საზოგადოებას ან მესამე პირებს მიადგათ ზარალი, პასუხისმგებლობა ეკისრებათ საზოგადოების პარტნიორებსა და დირექტორებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს.

54. <u>ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ დაფუძნების ხარჯების</u>

<u>გამო საზოგადოებას მიადგება ზარალი?</u>

თუ დაფუძნების ხარჯების გამო საზოგადოებას მიადგა ზარალი, პასუხისმგებლობა ეკისრებათ საზოგადოების პარტნიორებსა და დირექტორებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს.

55. <u>როგორ აგებენ პასუხს საზოგადოების პარტნიორები და საზოგადოების დირექტორები, თუ საზოგადოებას მიადგება ზარალი საზოგადოების შექმნის მიზნით არასწორი მონაცემების წარდგენის ან დაფუძნების ხარჯების გამო?</u>

საზოგადოების პარტნიორებსა და საზოგადოების დირექტორებს ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა, თუ საზოგადოებას მიადგება ზარალი საზოგადოების შექმნის მიზნით არასწორი მონაცემების წარდგენის ან დაფუძნების ხარჯების გამო. კერძოდ, საზოგადოების პარტნიორები და დირექტორები, როგორც სოლიდარული მოვალეები, ვალდებულნი არიან გადაიხადონ შეუტანელი გადასახდელები, აანაზღაურონ დაფუძნების ხარჯების გადაუხდელობით გამოწვეული, აგრეთვე ამ დროს წარმოშობილი სხვა ზარალი.

<u>56. რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს საწარმოს რეგისტრაციისათვის სასამართლოში წარდგენილი განცხადება?</u>

საწარმოს რეგისტრაციისათვის სასამართლოში წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს:

1. საფირმო სახელწოდებას (ფირმას);
2. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;
3. ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);
4. საქმიანობის საგანს;
5. მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;

6. ინდივიდუალური მეწარმის ან ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის (კოოპერატივის შემთხვევაში-არანაკლებ ორის) სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს; ხოლო თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია, მის საფირმო სახელწოდებასა და რეგისტრაციის მონაცემებს (იურიდიული მისამართი, სასამართლოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისრტაციის თარიღი და ნომერი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისი წარმომადგენლის მონაცემები);

7. წარმომადგენლობის უფლებამოსილებას;

57. <u>რა დამატებით მონაცემებს უნდა შეიცავდეს კომანდიტური საზოგადოების რეგისტრაციისათვის სასამართლოში წარდგენილი განცხადება?</u>

კომანდიტური საზოგადოებისათვის სასამართლოში სარეგისტრაციოდ წარდგენილი განცხადება, გარდა ზემოაღნიშნული მონაცემებისა, დამატებით უნდა შეიცავდეს მითითებას ყოველი კომანდიტის შესატანის ოდენობის შესახებ, ამასთან, ვინ რამდენი შეიტანა.

58. <u>რა დამატებით მონაცემებს უნდა შეიცავდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის რეგისტრაციისათვის სასამართლოში წარდგენილი განცხადება?</u>

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის რეგისტრაციისათვის სასამართლოში წარდგენილი განცხადება, გარდა ზემოაღნიშნული მონაცემებისა, დამატებით უნდა შეიცავდეს:

1. საწესდებო კაპიტალის ოდენობას;

2. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობას, შესაბამისად წილს;

3. ყოველი დირექტორის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს და ადგილს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს;

59. რა დოკუმენტები უნდა დაერთოს სასამართლოში საზოგადოების რეგისტრაციისათვის წარდგენილ განცხადებას?

სასამართლოში საზოგადოების რეგისტრაციისათვის წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

1. საზოგადოების წესდება;

2. არაფულადი შესატანით დაფუძნებისას-შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი;

3. კოოპერატივის, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისათვის-დოკუმენტები დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ. ეს უკანასკნელი დოკუმენტი მოითხოვება სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში;

4. საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ;

5. ზუსტი ხელმოწერის ნიმუში იმ პირებისა, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება.

60. საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტების მონაცემების ცვლილებების შემთხვევაში აუცილებელია თუ არა ამ ცვლილებების რეგისტრაცია?

რეესტრში ჩასაწერი ფაქტების ყოველი ცვლილებისათვის ასევე აუცილებელია რეგისტრაცია. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ.

61. რა შემთხვევაში უქმდება საწარმოს რეგისტრაცია?

საწარმოს რეგისტრაცია უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს;

2. თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ რეგისტრაციის პირობები მოგვიანებით მოისპო;

3. საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე.

ამასთანავე, ზემოაღნიშნულ პირველ ორ შემთხვევაში რეგისტრაცია უქმდება არა ავტომატურად, არამედ თუ ხარვეზი გამოსწორებული არ იქნება სამი თვის განმავლობაში.

62. რა ვადაში უნდა იქნეს გამოსწორებული საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებში აღმოჩენილი ხარვეზები?

სასამართლოს მიერ საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებში აღმოჩენილი ხარვეზები გამოსწორებული უნდა იქნეს 3 თვის განმავლობაში.

63. როგორ განიხილება შეცდომით რეგისტრირებული საწარმო რეგისტრაციის გაუქმებამდე?

რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული საწარმო, თუ ეს არ ეწინააღმდეგება:

1. ცალკეული პირების არსებით ინტერესებს,
2. საზოგადოების არსებით ინტერესებს,

ამასთანავე აუცილებელია ზემოაღნიშნულის შესახებ განაცხადოს საზოგადოების ნებისმიერმა პარტნიორმა ან ნებისმიერმა მესამე პირმა.

64. რა ვადაში უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაცია?

სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს

აუცილებელი საბუთების წარდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

65. <u>რა სამართლებრივი შედეგები უკავშირდება იმ შემთხვევას, როდესაც აუცილებელი საბუთების წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში სასამართლო არ განახორციელებს რეგისტრაციას და არც განმცხადებელს აცნობებს მოტივირებული უარის შესახებ?</u>

თუ საწარმოს რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების სასაამრთლოში წარდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად. მასთან, სასამართლო ვალდებულია განმცხადებელს მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. <u>სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს:</u>

ა. ნებისმიერ პარტნიორს;

ბ. საწარმოს დირექტორს;

გ. ერთ-ერთ პარტნიორს დირექტორის თანხმობით;

დ. მხოლოდ ყველა პარტნიორს ერთობლივად.

2. <u>საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ ხელს უნდა აწერდნენ:</u>

ა. საწარმოს პარტნიორები;

ბ. საწარმოს დირექტორები და პარტნიორები;

გ. საწარმოს პარტნიორები, წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო საბჭოს შესაძლო წევრები;

დ. საწარმოს დირექტორები.

3. განცხადება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ შეიტანება სასამართლოში:

ა. საწარმოს გენერალური დირექტორის (დირექტორის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ბ. საწარმოს იურიდიული მისამართის ან საქმიანობის ადგილის მიხედვით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;

გ. საწარმოს იურიდიული მისამართის მიხედვით;

დ. როგორც საწარმოს იურიდიული მისამართის, ისე მისი საქმიანობის ადგილის მიხედვით.

4. საწარმოს რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს:

ა. აუცილებელი საბუთების სასამართლოში წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში;

ბ. აუცილებელი საბუთების სასამართლოში წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

გ. რეგისტრაციის შესახებ განცხადებით მიმართვიდან 1 კვირის ვადაში;

დ. აუცილებელი საბუთების სასამართლოში წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 6. საფირმო სახელწოდება (ფირმა)

66. რას წარმოადგენს ფირმა?

ფირმა (იგივე საფირმო სახელწოდება) არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო.

67. რას იყენებს ინდივიდუალური მეწარმე საფირმო სახელწოდებად?

ინდივიდუალური მეწარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს.

68. რას უნდა შეიცავდეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება?

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს) „სპს"-ის დამატებით ან ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს).

69. რას უნდა შეიცავდეს კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება?

კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს არანაკლებ ერთი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის (კომპლემენტარის) გვარსა და სახელსა (ან გვარს) „კს"-ის დამატებით.

70. რა მოთხოვნები წაეყენება სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, კოოპერატივის საფირმო სახელწოდებებს?

სააქციო საზოგადოებას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, კოოპერატივს საფირმო სახელწოდებად შეუძლიათ გამოიყენონ პარტნიორთა სახელი. ასევე მათ უფლება აქვთ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ საქმიანობის საგნის მიხედვით ან იგი შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს აღნიშვნას „სააქციო საზოგადოება" ან „სს" ანდა დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება" ან „შპს" ანდა „რეგისტრირებული კოოპერატივი" ან „რკ".

71. რა შემთხვევაში უნდა დაერთოს საფირმო სახელწოდებას დამატებები?

საფირმო სახელწოდებას დამატებები უნდა დაერთოს, თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისაგან განსასხვავებლად.

72. <u>რა შემთხვევაში შეუძლია საწარმოს შემძენს გამოიყენოს საწარმოს ადრინდელი საფირმო</u> სახელწოდება?

საწარმოს შემძენს შეუძლია გამოიყენოს საწარმოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები აღნიშნულზე თანახმა იქნებიან.

ტესტები

1. <u>საფირმო სახელწოდება წარმოადგენს:</u>

ა. წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების სახელს;

ბ. მმართველობის უმაღლესი ორგანოს სახელწოდებას;

გ. დამფუძნებელთა კრებით სახელს;

დ. სახელს, რომლითაც საქმიანობს საწარმო.

2. <u>კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს:</u>

ა. როგორც კომანდიტის, ისე კომპლემენტარის სახელსა და გვარს;

ბ. არანაკლებ ერთი კომანდიტის გვარსა და სახელს;

გ. არანაკლებ ერთი კომპლემენტარის ან გვარსა და სახელს ან მხოლოდ გვარს "კს"-ს დართვით;

დ. ყველა კომპლემენტარისა და არანაკლებ ერთი კომანდიტის სახელსა და გვარს.

3. <u>საფირმო სახელწოდებას დაერთვის დამატება:</u>

ა. საწარმოს დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით;

ბ. სასამართლოს გადაწყვეტილებით დამფუძნებელთა დასაბუთებული განცხადების შემდეგ;

გ. თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისაგან განასხვავებლად;

დ. თუ ეს დამატება არ გამოიწვევს სხვა საფირმო სახელწოდებებთან მესამე პირების შეცდომაში შეყვანას.

4. საწარმოს შემძენს შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება, თუ:

ა. აღნიშნულის თაობაზე დააფიქსირებს წესდებაში;

ბ. თანახმა იქნება ადრინდელი საწარმოს დამფუძნებელი და დირექტორი;

გ. თუკი თანახმა იქნება ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები;

დ. იგი გამოხატავს სამემკვიდრეო ურთიერთობას.

მუხლი 7. რეესტრის საჯაროობა

76. რა მომენტიდან შეიძლება გამოყენებული იქნეს რეესტრში ჩასაწერი ფაქტები მესამე პირთა მიმართ?

რეესტრში ჩასწერი ფაქტები მესამე პირთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ დადგენილი წესით მათი რეგისტრაციისა და გამოქვეყნების შემდეგ.

გამონაკლისი ზემოაღნიშნული წესიდან შესაძლებელია, თუ ეს მონაცემები ცნობილი იყო მესამე პირებისათვის.

77. შეიძლება თუ არა რეესტრში ჩასაწერი ფაქტები მათი არასწორად რეგისტრაციის ან გამოქვეყნების შემთხვევაში გამოყენებული იქნეს მესამე პირების მიერ?

რეესტრში ჩასაწერი ფაქტები მათი არასწორად რეგისტრაციის ან გამოქვეყნების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს მესამე პირების მიერ იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო იგი რეგისტრირებული, თუ იგი ენდობოდა მათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან იცოდა ამ უზუსტობის შესახებ.

78. რომელი მონაცემებს ენიჭება უპირატესობა ფილიალთან საქმიან ურთიერთობაში?

ფილიალთან საქმიან ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ რეგისტრაციასა და გამოქვეყნებას, რომელიც განხორციელებულია ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოში.

ტესტები

1. რეესტრში ჩასაწერი ფაქტები შეიძლება გამოყენებული იქნეს მესამე პირების მიმართ, თუ:

ა. ეს ფაქტები რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში;

ბ. ამ ფაქტების შესახებ არსებობს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება;

გ. ეს ფაქტები ჩამოყალიბებულია წერილობითი ფორმით და დამოწმებულია სანოტარო წესით;

დ. ეს ფაქტები სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ფაქტების შესახებ ცნობილია მესამე პირებისათვის.

2. ფილიალთან საქმიან ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტებს, რომელიც:

ა. რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია ძირითადი საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით არსებულ სასამართლოში;

ბ. რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოში;

გ. ცნობილი გახდა მესამე პირებისათვის;

დ. რომელიც შეთანხმებულია ძირითადი საწარმოს ადმინისტრაციასთან (მართვის ორგანოებთან).

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ საწარმოში, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებაში სხვა საწარმოს შეძენის დროს

79. როგორ განისაზღვრება იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელმაც შეიძინა ინდივიდუალური საწარმო და უძღვება მას ადრინდელი საფირმო სახელწოდებით?

პირი, რომელმაც შეიძინა ინდივიდუალური საწარმო და უძღვება მას ადრინდელი საფირმო სახელწოდებით, სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, პასუხს აგებს ადრინდელი მფლობელის საწარმოს საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის.

80. შეიძლება თუ არა ინდივიდუალური საწარმოს შემძენი განთავისუფლდეს მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობისაგან და მან პასუხი არ აგოს ადრინდელი საწარმოს მფლობელის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის?

ინდივიდუალური საწარმოს შემძენი შეიძლება განთავისუფლდეს მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობისაგან და მან პასუხი არ აგოს ადრინდელი საწარმოს მფლობელის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის, თუ ამის შესახებ:

1. შეთანხმდნენ შესაბამისი პირები და ეს შეთანხმება რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში და გამოქვეყნებულია, ან

2. ეცნობა მესამე პირს და

3. შეძენის ფასის კალკულაციაში ვალები არაა გათვალისწინებული.

81. <u>რა შემთხვევებში არ შეიძლება გამოირიცხოს ინდივიდუალური მეწარმის პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე?</u>

ინდივიდუალური მეწარმის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს მესამე პირების წინაშე, თუ:

1. საწარმო შეადგენდა გამსხვისებლის თითქმის მთელ ქონებას და ამის შესახებ იცოდა შემძენმა, ან

2. მას ეს უნდა სცოდნოდა, თუ საქმიანი ურთიერთობებისათვის საჭირო წინდახედულებას გამოიჩენდა.

82. <u>როგორ განისაზღვრება იმ საზოგადოების პასუხისმგებლობა, რომელიც შეიქმნა ინდივიდუალურ საწარმოში პარტნიორის შესვლის შედეგად?</u>

ის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა ინდივიდუალურ საწარმოში პარტნიორის შესვლის შედეგად, პასუხს აგებს ადრინდელი მფლობელის ყველა იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა მის მიერ დადებული გარიგებიდან.

ამასთან, მხარეთა შორის ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგო ყოველგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირებისათვის.

83. <u>როგორ განისაზღვრება ინდივიდუალური საწარმოს გამსხვისებლის პასუხისმგებლობა გასხვისების მომენტში არსებული ვალდებულებებისათვის?</u>

ინდივიდუალური საწარმოს გამსხვისებელი პასუხს აგებს საწარმოს გადაცემის მომენტში არსებული ყველა ვალდებულებისათვის.

84. <u>როგორ განისაზღვრება ინდივიდუალური საწარმოს გამსხვისებლის პასუხისმგებლობა გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების შემთხვევაში?</u>

ინდივიდუალური საწარმოს გამსხვისებელი საწარმოს

გადაცემის მომენტში არსებული გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებისას პასუხს აგებს იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა:

1. მათ საფუძვლად არსებული გარიგების მოშლამდე ან

2. გასხვისების შემდეგ მოშლის პირველ შესაძლო ვადამდე.

<u>85. რა შემთხვევაში აგებენ პასუხს საწარმოს საქმიანობიდან წარმოშობილ სამკვიდროს დამტოვებლის ვალდებულებებზე ის მემკვიდრეები, რომელთაც მემკვიდრეობით მიიღეს ინდივიდუალური საწარმო და აგრძელებენ მის ფუნქციონირებას?</u>

თუ სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული ინდივიდუალური საწარმოს საქმიანობას აგრძელებენ მემკვიდრეები, ისინი პასუხს აგებენ სამკვიდროს დამტოვებლის იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა საწარმოს საქმიანობიდან, თუ:

1. სამკვიდროს მიღებიდან სამი თვის განმავლობაში არ გააჩერებენ საწარმოს და

2. ადრინდელი საფირმო სახელწოდების გამოყენებით გააგრძელებენ მის საქმიანობას სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ.

ტესტები

<u>1. ინდივიდუალური საწარმოს შემძენი პასუხს აგებს ადრინდელი მფლობელის საწარმოს საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის:</u>

ა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საწარმოს უძღვება ადრინდელი საფირმო სახელწოდებით, სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვის გარეშე;

ბ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საწარმოს უძღვება

ადრინდელი საფირმო სახელწოდებით სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით;

გ. თუ იგი საწარმოს უძღვება ადრინდელი საფირმო სახელწოდებით სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ;

დ. თუ აღნიშნულის თაობაზე ეცნობა სასამართლოს.

2. <u>თუ პირი პარტნიორად შედის ინდივიდუალურ საწარმოში, ამის შედეგად შექმნილი საზოგადოება პასუხს აგებს:</u>

ა. ადრინდელი მფლობელის მიერ დადებული გარიგებებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებებისათვის;

ბ. მხოლოდ იმ ვალდებულებებისათვის, რომელიც წარმოიშვა საწარმოში მისი პარტნიორად შესვლის შემდეგ;

გ. მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომლის თაობაზეც მოხდა შეთანხმება საწარმოს ძველ მფლობელთან;

დ. მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომლის თაობაზეც მოხდა შეთანხმება საწარმოს ძველ მფლობელთან და რის თაობაზეც ეცნობა მესამე პირებს და რომელთა რეგისტრაციაც მოხდა სამეწარმეო რეესტრში.

3. <u>სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საწარმოს გასხვისებისას პასუხს აგებენ:</u>

ა. ყველა იმ ვალდებულებისათვის, რომელზეც თანხმობა განაცხადეს საზოგადოების კრედიტორებმა;

ბ. საწარმოს გადაცემის მომენტში არსებული ყველა ვალდებულებისათვის;

გ. მხოლოდ იმ ვალდებულებებისათვის, რომელთა თაობაზეც მოხდება შეთანხმება საწარმოს გამსხვისებელსა და შემძენს შორის და იქნება დაფიქსირებული წილის (საწარმოს) გასხვისების ხელშეკრულებაში;

დ. მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რის თაობაზეც ეცნობა

საწარმოს გადაცემის მომენტში არსებულ კრედიტორებსა და მოვალეებს და დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. საკონსულტაციო საბჭო

86. ვის აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში?

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვს საზოგადოების ყველა პარტნიორს.

87. ვის აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება კომანდიტურ საზოგადოებაში?

საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება კომანდიტურ საზოგადოებაში აქვთ სოლიდარულად პასუხისმგებელ პარტნიორებს-კომპლემენტარებს.

88. ვის აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში?

საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს.

89. ვის აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება სააქციო საზოგადოებაში?

საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება სააქციო საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს.

90. ვის აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება კოოპერატივში?

საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება კოოპერატივში აქვთ დირექტორებს.

91. როგორი მოქმედება მიიჩნევა ხელმძღვანელობით საქმიანობად?

ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა უფლებამოსილი პირის (პირთა) ისეთი მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.

92. როგორი ფორმით შეიძლება განხორციელდეს საზოგადოების ხელმძღვანელობა?

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს რომ, ხელმძღვანელობით საქმიანობას ახორციელებდეს ერთი პარტნიორი ან დირექტორი ერთპიროვნულად ან ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს ერთად გასწიოს ხელმძღვანელობა.

93. შესაძლებელია თუ არა მოხდეს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვა და თუ ეს შესაძლებელია, რა წესით?

კანონის შესაბამისად, საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისათვის გადაწყვეტილებების მიღებისათვის სამეთვალყურეო ორგანოების ან საზოგადოების კრების აუცილებელი თანხმობის დაწესებით. შეზღუდვის აღნიშნული წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით.

94. ვინ შეიძლება იყოს საზოგადოების წარმომადგენელი მესამე პირებთან ურთიერთობაში?

საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში-ნებისმიერი პარტნიორი, კომანდიტურ საზოგადოებაში-კომპლემენტარი, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო

საზოგადოებებში, აგრეთვე კოოპერატივში-დირექტორები. ასევე საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს პროკურისტი, სავაჭრო წამომადგენელი და ა.შ.

<u>95. შესაძლებელია თუ არა მოხდეს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9.1. მუხლში მითითებულ პირთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა მესამე პირების წინაშე და თუ ეს შესაძლებელია რა წესით?</u>

საზოგადოების ხელძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა მესამე პირების წინაშე არ დაიშვება.

<u>96. როგორი ფორმით შეიძლება განხორციელდეს საზოგადოების წარმომადგენლობა?</u>

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ საზოგადოების წარმომადგენლობა უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდეს როგორც ერთპიროვნულად, ისე ერთობლივად. ასევე წესდებაში უნდა განისაზღვროს ზემოაღნიშნული პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ, სხვებთან თუ პროკურისტებთან ერთად.

მასთან, აუცილებელია, რომ წარმომადგენლობის სახე და წესი აღინიშნოს სამეწარმეო რეესტრში.

<u>97. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შემთხვევაში შეუძლია თუ არა წარმოდგენილ საზოგადოებას მსოფლიოს გარიგების ბათილობა?</u>

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შემთხვევაში წარმოდგენილ საზოგადოებას შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა, თუ გარიგების კონტრაგენტისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

98. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შემთხვევაში რა ვადაში შეუძლია წარმოდგენილ საზოგადოებას მოითხოვოს გარიგების ბათილობა, თუ საზოგადოების კონტრაგენტისათვის გარიგების დადებისას ცნობილი იყო აღნიშნული შეზღუდვის შესახებ?

წარმოდგენილ საზოგადოებას გარიგების ბათილობის მოთხოვნა შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის ვადაში.

99. რა ვადაში შეუძლია წარმოდგენილ საზოგადოებას მოითხოვოს გარიგების ბათილობა, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ ერთად მოქმედებენ, რათა ზიანი მიადგეს წარმოდგენილ საზოგადოებას?

წარმოდგენილ საზოგადოებას ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის ვადაში შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ ერთად მოქმედებენ რათა ზიანი მიადგეს წარმოდგენილ საზოგადოებას.

100. აქვთ თუ არა უფლება საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს ეწეოდნენ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით?

საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს უფლება არა აქვთ ეწეოდნენ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით.

101. რა სახით არ შეუძლიათ საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს მონაწილეობა მიიღონ

<u>მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოების საქმიანობაში?</u>

საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოების საქმიანობაში როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორებმა ან დირექტორებმა.

<u>102. ვინ გასცემს თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში, რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით?</u>

თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით, გასცემს პარტნიორთა კრება.

<u>103. ვინ გასცემს თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე კომანდიტურ საზოგადოებაში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში, რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით?</u>

თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე კომანდიტურ საზოგადოებაში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა

საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით, გასცემს პარტნიორთა კრება.

104. ვინ გასცემს თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში, რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით?

თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით გასცემს ის ორგანო, ვინც საზოგადოებაში ნიშნავს დირექტორებს.

105. ვინ გასცემს თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე სააქციო საზოგადოებაში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით?

თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე სააქციო საზოგადოებაში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში, რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით გასცემს ის ორგანო, რომელიც საზოგადოებაში ნიშნავს დირექტორებს.

106. ვინ გასცემს თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე კოოპერატივში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით?

თანხმობას საზოგადოების ხელმძღვანელებზე კოოპერატივში, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში, რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით, გასცემს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება (წარმომადგენელთა კრება).

107. რა შემთხვევაში ითვლება საზოგადოების მიერ თანხმობა მიცემულად საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებზე, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით?

საზოგადოების მიერ თანხმობა მიცემულად ითვლება საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებზე რათა მათ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების საქმიანობაში რომელიც ეწევა იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით, თუ:

1. საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ:

ა. საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და

ბ. ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.

108. <u>როგორ აგებენ პასუხს კონკურენციის აკრძალვის წესების დამრღვევი პირები?</u>

კონკურენციის წესების დამრღვევი საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირები ვალდებულნი არიან:

1. უკან დააბრუნონ ასეთი საქმიანობით მიღებული სიკეთე,
2. დათმონ გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და
3. აანაზღაურონ ზარალი.

109. <u>ვინ იღებს საზოგადოებაში გადაწყვეტილებას კონკურენციის აკრძალვის წესების დამრღვევი საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ?</u>

გადაწყვეტილებას კონკურენციის აკრძალვის წესების დამრღვევი საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობის შესახებ იღებენ დანარჩენი პარტნიორები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებაში არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო.

110. <u>როგორ უნდა გაუძღვეს საზოგადოების საქმეებს მისი ხელმძღვანელი?</u>

საზოგადოების საქმეებს მისი ხელმძღვანელი უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედოს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

111. როგორ უნდა გაუძღვნენ საზოგადოების საქმეებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები?

საზოგადოების საქმეებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედონ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

112. რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საზოგადოების ხელმძღვანელებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს კანონითა და წესდებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის?

საზოგადოების ხელმძღვანელები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მათ მიერ კანონითა და წესდებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობით წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

113. შეიძლება თუ არა საზოგადოების ხელმძღვანელები გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან, თუ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად?

საზოგადოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ შეიძლება იმ მოტივით, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად.

114. შეიძლება თუ არა საზოგადოების დირექტორებს, რწმუნებულებს ან სამეწარმეო საქმიანობისათვის ნაწილობრივ უფლებამოსილ პირებს მიეცეთ კრედიტი საზოგადოების ქონებიდან?

საზოგადოების დირექტორებს, რწმუნებულებს ან სამეწარმეო

საქმიანობისათვის ნაწილობრივ უფლებამოსილ პირებს არ შეიძლება მიეცეთ კრედიტი საზოგადოების მხოლოდ იმ ქონებიდან, რომელიც აუცილებელია საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

115. შეიძლება თუ არა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღოს საკონსულტაციო საბჭომ და თუ შეიძლება, რა შემთხვევებში?

საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება არა აქვს.

116. ვინ არ შეიძლება იყოს საკონსულტაციო საბჭოს წევრი?

საკონსულტაციო საბჭოს წევრები არ შეიძლება იყვნენ:

1. დირექტორები და
2. კომპლემენტარები.

ტესტები

1. კომანდიტურ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვს:

ა. კომანდიტს და კომპლემენტარს ერთობლივად პარტნიორთა კრების მიერ დადგენილი წესით;

ბ. პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს);

გ. საწარმოს დირექტორს, რომელსაც ირჩევენ კომპლემენტარები და კომანდიტები;

დ. პარტნიორთა კრებას.

2. სააქციო საზოგადოებაში საწარმოს ხელმძღვანელობის უფლება აქვს:

ა. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით;

ბ. საწარმოს დირექტორს;

გ. ნებისმიერ აქციონერს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთან-ხმებით;

დ. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს.

3. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა:

ა. მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც უშუალო კავშირშია საზოგადოების მიზნებთან და ემსახურება მას;

ბ. მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს;

გ. მოქმედება, რომელიც შეთანხმებულია აქციონერთა საერთო კრებასთან;

დ. ყველა ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელებაზეც არსებობს როგორც საერთო კრების, ისე სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობა.

4. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება:

ა. არ შეიძლება შეიზღუდოს;

ბ. შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საერთო კრების აუცილებელი წინასწარი თანხმობის დაწესებით;

გ. შეიძლება შეიზღუდოს საერთო კრებისა და სამეთვალ-ყურეო საბჭოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით;

დ. შეიძლება შეიზღუდოს საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში:

ა. არ შეიძლება შეიზღუდოს;

ბ. შეიძლება შეიზღუდოს კანონით ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვის ანალოგიურად;

გ. შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს შეზღუდვა რეგისტრირებული იქნება სამეწარმეო რეესტრში;

დ. შეიძლება შეიზღუდოს, თუ იქნება საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება აღნიშნული შეზღუდვის თაობაზე.

6. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორს არა აქვს უფლება:

ა. მისდიოს იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საზოგადოება თანახმაა შეწყვიტოს მსგავსი საქმიანობის განხორციელება;

ბ. მონაწილეობა მიიღოს მსგავსი ტიპის საზოგადოებაში 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით;

გ. მონაწილეობა მიიღოს მსგავსი ტიპის საზოგადოებაში როგორც დირექტორმა ან პარტნორმა;

დ. პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიოს იმავე საქმიანობას რასაც მისდევს საზოგადოება ან მონაწილეობა მიიღოს მსგავსი ტიპის საზოგადოებაში როგორც დირექტორმა ან პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნორმა.

7. საწარმოში საკონსულტაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს:

ა. დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

ბ. მესამე პირი;

გ. დირექტორი და კომპლემენტარი;

დ. კომპლემენტარი, დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 10. გენერალური საჯარო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება

117. ვინ არის უფლებამოსილი საზოგადოების სახელით გასცეს მინდობილობა?

საზოგადოების სახელით მინდობილობის გაცემის უფლებამოსილება აქვთ საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს.

118. შეიძლება თუ არა მინდობილობა გაიცეს ორ პირზე ერთდროულად?

მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს (საერთო მინდობილობა).

119. შეიძლება თუ არა წარმომადგენელმა განახორციელოს მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება მინდობილობის შინაარსს?

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს.

120. რა წესით უნდა მოხდეს მინდობილობის შეწყვეტა?

მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია მისი

1. გაუქმება ან

2. ძალადაკარგულად აღიარება. მასთან ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ რესპუბლიკურ გაზეთში.

121. როგორ მინდობილობას წარმოადგენს გენერალური

სავაჭრო მინდობილობა?

გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) წარმოადგენს ისეთ მინდობილობას, რომელიც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში.

122. რა უფლებამოსილებას ანიჭებს პირს პროკურა?

პროკურა პირს ანიჭებს უფლებამოსილებას სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განახორციელოს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან.

123. პროკურისტის მიერ რომელი მოქმედების განხორციელებას სჭირდება ამისათვის სპეციალური უფლებამოსილების მინიჭება?

პროკურისტს შეუძლია მოახდინოს მიწის ნაკვეთის გასხვისება ან მისი დატვირთვა ვალდებულებებით მხოლოდ მაშინ, თუ მას ეს უფლებამოსილება მიეცემა სპეციალურად.

124. რა შემთხვევებშია ბათილი პროკურის მოცულობის შეზღუდვა მესამე პირებისათვის?

მესამე პირებისათვის ბათილია. პროკურის მოცულობის ისეთი შეზღუდვა, როგორიცაა, რომ პროკურა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა თუ გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, ან განსაზღვრული დროისათვის, ანდა ცალკეულ ადგილებში.

125. შეიძლება თუ არა პროკურა შემოიფარგლოს ერთი ან რამდენიმე ფილიალით?

პროკურას ყველა ფილიალის მიმართ აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა. პროკურა შეიძლება შემოიფარგლოს ერთი ან რამდენიმე ფილიალით მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ფილიალებს მართავენ სხვადასხვა საფირმო სახელწოდებებით.

126. <u>რა მოთხოვნა უნდა დაიცვან პროკურისტმა და სავაჭრო წარმომადგენელმა თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას დოკუმენტების ხელმოწერისას?</u>

პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი დოკუმენტების ხელმოწერისას საფირმო სახელწოდებას დაურთავენ თავიანთ სახელსა და გვარს და პროკურის ან სავაჭრო მინდობილობის აღმნიშვნელ დამატებას.

127. <u>როდის შეიძლება გაუქმდეს პროკურა?</u>

პროკურა შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს.

128. <u>როდის შეიძლება გაუქმდეს სავაჭრო მინდობილობა?</u>

სავაჭო მინდობილობა შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს.

129. <u>აქვს თუ არა პირს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება პროკურის გაუქმებისას?</u>

პროკურის გაუქმებისას ზიანის ანაზღაურება ხდება მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების პირობების თანახმად.

130. <u>რა პირობა უნდა იქნეს დაცული პროკურის ან სავაჭრო მინდობილობის გაუქმებისას?</u>

პროკურის ან სავაჭრო მინდობილობის გაუქმება ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლების ხელყოფის გარეშე.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. <u>საზოგადოების სახელით მინდობილობა შეიძლება მიეცეს:</u>

ა! მხოლოდ ერთ პირს;

ბ. ორ ან რამდენიმე პირს;

გ. მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ პირებს;

დ. მხოლოდ საზოგადოების პარტნიორს.

2. საზოგადოების მიერ გაცემული მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია:

ა. მოხდეს მისი განადგურება;

ბ. მხარეთა ნოტარიული წესით დამოწმებული განცხადება მინდობილობის შეწყვეტის შესახებ;

გ. მისი გაუქმება ან ძალადაკარგულად აღიარება;

დ. ეცნობოს სამეწარმეო რეესტრს მინდობილობის გაუქმების რეგისტრაციის შესახებ.

3. პროკურას წარმოადგენს:

ა. მინდობილობა, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;

ბ. მინდობილობა, რომელიც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში;

გ. საერთო კრების მიერ გაცემული და ნოტარიული წესით დამოწმებული მინდობილობა;

დ. მინდობილობა, რომელიც იძლევა მხოლოდ უძრავი ქონების გასხვისების უფლებამოსილებას.

4. პროკურისტს მიწის ნაკვეთის გასხვისების უფლება აქვს, თუ:

ა. ამის შესახებ თანხმობას განაცხადებენ საზოგადოების პარტნიორები;

ბ. ეს უფლებამოსილება პროკურისტს სპეციალურად მიეცემა;

გ. არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობა გასხვისების თაობაზე;

დ. პროკურისტი და დირექტორი ერთი და იგივე პირია.

5. პროკურა შეიძლება შემოიფარგლოს ერთი ან რამდენიმე ფილიალით, თუ:

ა. ამის შესახებ მითითებულია სამეწარმეო კრების

გადაწყვეტილებაში;

ბ. ამას ითხოვს საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო;

გ. ფილიალებს მართავენ სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით;

დ. ფილიალი ახორციელებს ძირითადი საწარმოსაგან განსხვავებულ საქმიანობას.

<u>6. პროკურა და სავაჭრო მინდობილობა შეიძლება გაუქმდეს:</u>

ა. ნებისმიერ დროს;

ბ. მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის;

გ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროკურისტმა გადაუხვია პროკურით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

დ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გავა პროკურის ან სავაჭრო მინდობილობის მოქმედების ვადა.

<u>7. სავაჭრო წარმომადგენელი ხელმოწერისას საფირმო სახელწოდებას დაურთავს:</u>

ა. თავის სახელსა და გვარს;

ბ. როგორც თავის სახელსა და გვარს, ისე სავაჭრო მინდობილობის აღმნიშვნელ დამატებას;

გ. თავის სახელს, გვარს და სავაჭრო მინდობილობის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ნომერსა და თარიღს;

დ. ნებისმიერ მონაცემს, რომელიც მისი აზრით მას განასხვავებს საწარმოს სხვა წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 11. <u>სავაჭრო წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოვაჭრე. კომისიონერი</u>

<u>131. ვის მიიჩნევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი სავაჭრო წარმომადგენლად?</u>

სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა პირი, რომელიც:

1. საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან

2. დებს გარიგებებს

3. სხვა საწარმოს სახელით

4. და ხარჯით ისე, რომ

5. თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში.

132. <u>როდის მიიჩნევა დამოუკიდებელი მოვაჭრე სავაჭრო წარმომადგენლად?</u>

დამოუკიდებელი მოვაჭრე სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა, თუ:

1. იგი მოქმედებს საკუთარი სახელითა და

2. ხარჯით, თუმცა

3. უპირატესად იმყოფება სხვა საწარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ისე, რომ

4. მოზიდული მუდმივი კლიენტურა სხვა საწარმოს განეკუთვნება და

5. ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ეს კლიენტურა მას რჩება.

133. <u>ვინ წარმოადგენს კომისიონერს?</u>

კომისიონერს წარმოადგენს პირი, რომელიც:

1. საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის

2. საკუთარი სახელით,

3. ოღონდ სხვისი ხარჯით.

134. ვის წინაშე არიან ანგარიშვალდებულები კომისიონერი და სავაჭრო წარმომადგენელი?

კომისიონერი და სავაჭრო წარმომადგენელი ანგარიშ-ვალდებული არიან იმ საწარმოს წინაშე, რომლისთვისაც ისინი მოქმედებენ.

135. რა სახის ვალდებულებები ეკისრებათ კომისიონერსა და სავაჭრო წარმომადგენელს?

კომისიონერი და სავაჭრო წარმომადგენელი ვალდებულები არიან საწარმოს შეთანხმებულ ვადებში, ხოლო თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, ყოველი კვარტლის ბოლოს, კერძოდ, კვარტლის დამთავრებიდან ათი დღის ვადაში წერილობით წარუდგინონ ცნობები ყოველი შესრულებული საქმის შესახებ და პროვიზიის (მომსახურების საზღაური) ან კომისიის (კომისიონერის საზღაური) ანგარიში.

136. როდის წარმოიშობა პროვიზიის გადახდის მოთხოვნა?

პროვიზიის გადახდის მოთხოვნა წარმოიშობა საწარმოს მიერ გარიგების შესრულების მომენტიდან და იგი გადახდილი უნდა იქნეს იმავე თვის ბოლოს.

იგივე წესი მოქმედებს, როცა კომისიონერი ვალდებულია გადაუხადოს საწარმოს მიღებული შემოსავალი კომისიის ხარჯების გამოკლებით.

პროვიზიის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინაც, როცა საწარმო არ ასრულებს ან ისე არ ასრულებს გარიგებას, როგორც იყო შეთანხმებული, მაგრამ ეს უფლება ისპობა, როცა გარიგება არ სრულდება არა საწარმოს, არამედ გარიგების მეორე მხარის მიზეზით. თუ დადგინდა, რომ გარიგების მეორე მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, მაშინ ისპობა პროვიზიის მოთხოვნის უფლება.

ამ შემთხვევაში მიღებული თანხები უკან უნდა დაბრუნდეს.

საწარმოს მიერ გადასახდელი პროვიზია გადაიხდება ყოველთვიურად.

137. როგორ განისაზღვრება პროვიზიისა და კომისიის ოდენობა?

პროვიზიისა და კომისიის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული არ არის კომისიისა და პროვიზიის ოდენობა, შეთანხმებულად მიიჩნევა საქმიანობის ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ნორმა.

პროვიზია გამოითვლება იმ თანხიდან, რომელიც უნდა გადახადოს გარიგების მხარემ. ფულით გადახდისას ფასდათმობები უნდა გამოიქვითოს.

იგივე წესი მოქმედებს ფულადი მიმოქცევის, ფრახტის, შეფუთვის, ბაჟისა და გადასახადების დამატებითი ხარჯებისათვის, თუ ეს დამატებითი ხარჯები არ უნდა გაიღოს მესამე პირმა.

სარგებლობის დათმობისა და სარგებლობის ვადიანი ხელშეკრულების დროს პროვიზია გამოითვლება ხელშეკრულების თანხიდან ხელშეკრულების ვადის შესაბამისად.

უვადო ხელშეკრულების დროს პროვიზია ყოველთვის გამოითვლება ხელშეკრულების თანხიდან და ექვემდებარება ანაზღაურებას იმ დრომდე, ვიდრე გარიგების მხარეს შეუძლია მოშალოს გარიგება.

138. როგორ გამოითვლება პროვიზია დაზღვევისას?

დაზღვევისას პროვიზია გამოითვლება დაზღვეული თანხიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი თანხა არ არსებობს, პროვიზია გამოითვლება სადაზღვევო შესატანიდან.

ეს წესი აგრეთვე მოქმედებს არსებული მუდმივი კლიენტურის შენარჩუნებისათვის ზრუნვის პროვიზიის მიმართ.

139. რა შემთხვევებში ეკისრება საწარმოს წინაშე კომისიონერს პასუხისმგებლობა გარიგების შესრულებისათვის?

კომისიონერს დაეკისრება პასუხისმგებლობა გარიგების შესრულებისათვის, თუ:

1. კომისიის განხორციელებამდე არ დაუსახელებს საწარმოს ხელშეკრულების მხარეებს,

2. კომისიონერი არ მოქმედებს საწარმოს მითითებების შესაბამისად და მას არ ჰქონდა უფლება შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე გადაეხვია თავისი უფლებამოსილებისათვის.

140. <u>რა შემთხვევაში აგებს პასუხს კომისიონერი მისთვის მიბარებული ქონების დანაკლისისა და დაზიანებისათვის?</u>

კომისიონერი პასუხს აგებს მისთვის მიბარებული ქონების დანაკლისისა და დაზიანებისათვის, თუ ისინი არაა გამოწვეული იმ გარემოებებით, რომელთა აღკვეთა შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი სავაჭრო საწარმოს კეთილსინდისიერი მოქმედებით.

141. <u>რა შემთხვევებში აქვთ უფლება სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს მოითხოვონ ვალდებულებათა შესრულებისათვის სათავდებო პროვიზია?</u>

სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს უფლება აქვთ მოითხოვონ ვალდებულებათა შესრულებისათვის სათავდებო პროვიზია იმ შემთხვევაში, თუ:

-ისინი წინასწარ წერილობით ივალდებულებენ, რომ თავდებად დადგებიან გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის.

142. <u>რა მომენტიდან წარმოიშობა სათავდებო პროვიზიის მოთხოვნის უფლება?</u>

სათავდებო პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა გარიგების დადებისთანავე.

143. <u>რა სახის გარიგებების შესრულებაზე შეიძლება იქნეს აღებული თავდებად ყოფნის ვალდებულება სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მიერ?</u>

სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მიერ ვალდებულება შეიძლება აღებული იქნეს მხოლოდ კონკრეტული გარიგებისათვის ან ასეთი გარიგებისათვის კონკრეტულ მხარეებთან.

144. რას გულისხმობს კონკურენციის აკრძალვა სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მიმართ?

სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მიმართ კონკურენციის აკრძალვა გულისხმობს, რომ:

1. მათ მეწარმის თანხმობის გარეშე არა აქვთ უფლება სხვაგვარად იმოქმედონ საწარმოს საქმიანობის სფეროში, ანდა

2. პირდაპირ თუ

3. არაპირდაპირ მიიღონ მონაწილეობა რომელიმე კონკურენტ საწარმოში.

145. რომელ შემთხვევებზე არ ვრცელდება კონკურენციის აკრძალვა სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მიმართ?

სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მიმართ კონკურენციის აკრძალვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა:

-საქმე ეხება სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის წმინდა ფინანსურ მონაწილეობას კონკურენტ საწარმოში, მაგრამ არა უმეტეს ხუთი პროცენტისა.

146. რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისათვის?

სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მიერ კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევის შემთხვევაში საწარმოს შეუძლია მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება, გარდა ამისა, მას შეუძლია სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს მოსთხოვოს, რომ კონკურენტ საწარმოსთან დადებული გარიგებები გადასცეს საწარმოს და ამ გარიგებიდან გამომდინარე სარგებელი უკან დააბრუნოს ან უარი თქვას ამ სარგებლის მოთხოვნაზე.

147. <u>შეიძლება თუ არა გაგრძელდეს კონკურენციის აკრძალვა მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც და თუ შეიძლება, რა შემთხვევაში?</u>

შეთანხმებით კონკურენციის აკრძალვა მხარეებს შორის შეიძლება გაგრძელდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ამისთვის იხდის კომპენსაციას.

<u>148. რა ვადით შეიძლება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ძალაში დარჩეს კონკურენციის აკრძალვა?</u>

ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ კონკურენციის აკრძალვა შეიძლება ძალაში დარჩეს არა უმეტეს ერთი წლის ვადით.

<u>149. რა ვადით შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენელთან ან კომისიონერთან?</u>

ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენელთან ან კომისიონერთან იდება ერთი წლის ვადით, თუმცა ხელშეკრულებით შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს სხვა ვადაც.

<u>150. როგორ მოხდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება სავაჭრო წარმომადგენელთან ან კომისიონერთან?</u>

ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება სავაჭრო წარმომადგენელთან ან კომისიონერთან კიდევ ერთი წლით, თუ:

-ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

ხელშეკრულების შეწყვეტისას გადამწყვეტია ხელშეკ-რულების მხარის შესაძლებლობა, გაეცნოს განცხადებას ხელშეკ-რულების მოშლის შესახებ.

151. <u>რა შემთხვევაშია შესაძლებელი სახელშეკრულებო</u>

ურთიერთობის დაუყოვნებლივი შეწყვეტა სავაჭრო წარმომადგენელთან ან კომისიონერთან?

სახელშეკრულებო ურთიერთობის დაუყოვნებლივი შეწყვეტა სავაჭრო წარმომადგენელთან ან კომისიონერთან შესაძლებელია, თუ:

-არსებობს საამისო მნიშვნელოვანი გარემოებები.

152. რა შემთხვევებში შეუძლია სავაჭრო წარმომადგენელს მოითხოვოს კომპენსაციის გადახდა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისათვის?

სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საწარმოს მოსთხოვოს შესაბამისი კომპენსაცია, თუ:

1. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს იმ ახალ კლიენტებთან საქმიან კავშირში, რომლებიც მოიზიდა სავაჭრო წარმომადგენელმა და

2. სავაჭრო წარმომადგენელი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის გამო კარგავს იმ პროვიზიის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ექნებოდა მის მიერ მოზიდულ კლიენტებთან უკვე დადებული ან მომავალში გასაფორმებელი გარიგებების გაგრძელებისას.

153. რა შემთხვევებში კარგავს პირი (სავაჭრო წარმომადგენელი) უფლებას მოითხოვოს კომპენსაცია?

კომპენსაციის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ:

1. სავაჭრო წარმომადგენელმა მოშალა ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამისათვის საბაბი მისცა საწარმოს მოქმედებამ ან სავაჭრო წარმომადგენლის მიერ თავისი საქმიანობის

გაგრძელება ასაკის ან ავადმყოფობის გამო შეუძლებელია, ან

2. სხვა საწარმომ შეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა და შეწყვეტის მნიშვნელოვან საფუძველს შეადგენს სავაჭრო წარმომადგენლის ბრალეული მოქმედება, ან

3. საწარმოსა და სავაჭრო წარმომადგენელს შორის შეთანხმების საფუძველზე სავაჭრო წარმომადგენლის ნაცვლად სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მესამე პირი.

154. რა ვადაში შეუძლია სავაჭრო წარმომადგენელს გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება?

სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის ვადაში.

ტესტები

1. სავაჭრო წარმომადგენელია პირი, რომელიც:

ა. დასაქმებულია საწარმოში და საქონლის რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს მას საწარმოს სახელითა და ხარჯით,

ბ. საქონლის რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს თავისი სახელითა და ხარჯით,

გ. საქონლის რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს სხვა საწარმოს სახელითა და თავისი ხარჯით,

დ. არ არის დასაქმებული საწარმოში და შუამავლობს მას მისივე სახელითა და ხარჯით.

2. კომისიონიერია:

ა. დამოუკიდებელი მოვაჭრე;

ბ. პირი, რომელიც საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, მაგრამ სხვისი ხარჯით;

გ. პირი, რომელიც საქონლის რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელითა და ხარჯით;

დ. პირი, რომელიც საქონლის რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის სხვისი სახელითა და ხარჯით.

3. <u>სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი ანგარიშვალდებული არიან:</u>

ა. მესამე პირების წინაშე;

ბ. იმ საწარმოს წინაშე, რომლის სახელითაც ისინი მოქმედებენ;

გ. უფლებამოსილების მიმნიჭებელი დოკუმენტით განსაზღვრული პირების წინაშე;

დ. იმ პირთა წინაშე, რომელთაც უშუალო ზიანი მიადგათ მათი მოქმედების (უმოქმედობის) შედეგად.

4. <u>კომისიონერმა ან სავაჭო წარმომადგენელმა, როცა მათ აღარ სურთ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება, ხელშეკრულების მოშლის შესახებ უნდა განაცხადონ:</u>

ა. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე;

ბ. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე;

გ. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 2 კვირით ადრე;

დ. თავიანთი შეხედულებისამებრ.

5. <u>კომისიონერს ან სავაჭო წარმომამდგენელს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს:</u>

ა. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 თვის ვადაში;

ბ. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 6 თვის ვადაში;

გ. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 1 წლის ვადაში;

დ. ხელშეკრულების შეწყვეტიდან გონივრულ ვადაში.

6. <u>სავაჭრო წარმომადგენლის ამ კომისიონერის მიმართ კონკურენციის აკრძალვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ დასაშვებია:</u>

ა. ერთი წლის განმავლობაში;

ბ. თუ ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმებით;

გ. მხარეთა შეთანხმებით არა უმეტეს ერთი წლის ვადისა, თუ ამისათვის მხარე იხდის კომპენსაციას;

დ. თუ კონკურენციის აკრძალვა ზიანს არ აყენებს სავაჭრო წარმომადგენლის ამ კომისიონერის ქონებრივ მდგომარეობას.

მუხლი 12. <u>სავაჭრო მაკლერი</u>

155. <u>ვინ სარგებლობს სავაჭრო მაკლერის უფლება-მოვალეობებით?</u>

სავაჭრო მაკლერის უფლება-მოვალეობებით სარგებლობს პირი, რომელიც:

1. სამეწარმეო საქმიანობის სახით სხვა პირთათვის კისრულობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადების ან

2. სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ისე, რომ

3. მათგან ეს ხელშეკრულებით მუდმივად დავალებული არა აქვს.

156. <u>რა ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება ეკისრება სავაჭრო მაკლერს გარიგების დადების შემდეგ?</u>

სავაჭრო მაკლერმა გარიგების დადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მხარეებს მის მიერ ხელმოწერილი დასკვნითი აქტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს მხარეების, გარიგების საგნისა და პირობების, განსაკუთრებით საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას, მათი სახეობებისა და რაოდენობის,

ასევე ფასისა და გარიგების საბოლოო შესრულების დროის შესახებ, თუკი:

1. მხარეებმა მას ეს არ აუკრძალეს ან

2. საქონლის სახეობის ადგილობრივი მოხმარების გათვალისწინებით, იგი განთავისუფლებული არ არის ამ მოვალეობისაგან.

157. <u>რა ვალდებულება ეკისრება სავაჭრო მაკლერს, თუ რომელიმე მხარე უარს განაცხადებს დასკვნითი აქტის მიღებაზე?</u>

თუ რომელიმე მხარე უარს განაცხადებს დასკვნითი აქტის მიღებაზე ან მის ხელმოწერაზე, სავაჭრო მაკლერმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სხვა მხარეებს.

158. <u>შესაძლებელია თუ არა სავაჭრო მაკლერმა ერთ-ერთი მხარის მიმართ გაგზავნილ დასკვნით აქტში არ დაასახელოს ხელშეკრულების მეორე მხარე და თუ ეს შესაძლებელია, რა წესები უნდა იქნეს დაცული?</u>

თუ ერთ-ერთი მხარე მიიღებს დასკვნით აქტს, რომელშიც სავაჭრო მაკლერი არ ასახელებს მეორე მხარეს, დასახელებული მხარე გარიგებით დაკავშირებული ხდება იმ მხარესთან, რომელიც დამატებით დასახელდება, თუ მის წინააღმდეგ არ იქნება შეტანილი დასაბუთებული პრეტენზია.

159. <u>რა ვადაში უნდა დასახელდეს ხელშეკრულების სხვა მხარე?</u>

ხელშეკრულების სხვა მხარის დასახელება უნდა მოხდეს ჩვეულებრივ მიღებულ ვადებში, ხოლო თუ ასეთი ვადები არ არსებობს, გარემოების შესატყვის ვადებში.

160. <u>რა უფლებით სარგებლობს ხელშეკრულების მხარე,</u>

<u>თუ არ იქნება დასახელებული ხელშეკრულების სხვა მხარე ან თუ დასახელებული მხარის მიმართ შეტანილი იქნება დასაბუთებული პრეტენზია?</u>

ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს სავაჭრო მაკლერს მოსთხოვოს პასუხი გარიგების შესრულებაზე, თუ:

1. მხარე არ დასახელდება ან

2. დასახელებული პირების წინააღმდეგ შეტანილი იქნება დასაბუთებული პრეტენზია.

<u>161. რა შემთხვევაში არ მიიღება მხარის პრეტენზია სავაჭრო მაკლერის მიმართ პასუხი აგოს გარიგების შესრულებაზე, თუ არ არის დასახელებული ხელშეკრულების სხვა მხარე ან თუ დასახელებული მხარის მიმართ შეტანილია დასაბუთებული პრეტენზია?</u>

მოთხოვნა სავაჭრო მაკლერის მიმართ პასუხი აგოს გარიგების შესრულებაზე არ მიიღება, თუ:

მხარე სავაჭრო მაკლერის მოთხოვნაზე დაუყოვნებლივ არ განაცხადებს, მოითხოვს თუ არა იგი შესრულებას.

<u>162. რა ვალდებულება ეკისრება სავაჭრო მაკლერს სინჯის აღების გზით საქონლის გაყიდვისას?</u>

სინჯის აღების გზით საქონლის გაყიდვისას სავაჭრო მაკლერი ვალდებულია ყოველი მხარისათვის გადასაცემად შეინახოს მისი შუამავლობით გაყიდული საქონლის სინჯი, ვიდრე საქონელი მის ხარისხზე პრეტენზიის გარეშე არ იქნება მიღებული შემძენის მიერ ან გარიგება სხვაგვარად არ იქნება შესრულებული, თუ:

-მხარეები ან საქონლის მოხმარების ადგილობრივი წესები ასეთი მოვალეობისაგან არ ათავისუფლებენ.

სავაჭრო მაკლერი ვალდებულია სინჯი აღნიშნოს სპეციალური ნიშნით.

163. აქვს თუ არა სავაჭრო მაკლერს უფლება მიიღოს მისი მეშვეობით კონტრაგენტებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი გადასახადი ან სხვა რაიმე სარგებელი?

სავაჭრო მაკლერს უფლება არა აქვს მიიღოს მისი მეშვეობით კონტრაგენტებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი გადასახადი ან სხვა რაიმე სარგებელი.

164. ხელშეკრულების რომელი მხარის წინაშე ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სავაჭრო მაკლერს?

სავაჭრო მაკლერს მისი ბრალით ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ხელშეკრულების ორივე მხარის მიმართ.

165. რა წესით ხდება სავაჭრო მაკლერის შრომის ანაზღაურება და ვის მიერ?

მაკლერის შრომის ანაზღაურების თაობაზე, როგორც წესი, მხარეები თანხმდებიან. ამგვარი შეთანხმების არარსებობისას, ყოველი მხარე ვალდებულია გადაიხადოს მისაცემი თანხის ნახევარი, თუ ადგილობრივი წესები სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

166. როგორ ხდება დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა სავაჭრო მაკლერის მიერ?

სავაჭრო მაკლერი ვალდებულია აწარმოოს დღიური, და ყოველდღიურად ჩაწეროს მასში ყველა დადებული გარიგება. ჩანაწერები უნდა გაკეთდეს ქრონოლოგიური წესით და იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს მხარეების, გარიგების საგნისა და პირობების, განსაკუთრებით, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას, მათი სახეობისა და რაოდენობის, ასევე ფასისა და გარიგების საბოლოო შესრულების დროის შესახებ, თუკი მხარეებმა მას ეს არ აუკრძალეს ან საქონლის სახეობის ადგილობრივი მოხმარების გათვალისწინებით, იგი გათავისუფლებული არ არის ამ

მოვალეობისაგან.

სავაჭრო მაკლერი ხელს უნდა აწერდეს ყოველდღიურ ჩანაწერს.

167. აქვთ თუ არა მხარეებს უფლება მოსთხოვონ სავაჭრო მაკლერს დღიურიდან ამონაწერები?

მხარეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მოსთხოვონ სავაჭრო მაკლერს ამონაწერები დღიურიდან და შესაბამისად, სავაჭრო მაკლერს ეკისრება მოთხოვნისთანავე მათი მხარეებისათვის მიწოდების ვალდებულება.

168. რა ფორმით უნდა გადასცეს სავაჭრო მაკლერმა მხარეებს ამონაწერები დღიურიდან?

სავაჭრო მაკლერის მიერ გაკეთებული ამონაწერები დღიურიდან, რომელიც უნდა გადაეცეს მხარებს, უნდა იყოს:

1. ხელმოწერილი სავაჭრო მაკლერის მიერ და

2. შეიცავდეს ყოველივეს, რაც ჩაწერილია საშუამავლო საქმიანობის შედეგად დადებული გარიგებების შესახებ.

ტესტები

1. სავაჭრო მაკლერს უფლება არა აქვს:

ა. მოითხოვოს შესრულებული სამუშაოსათვის სარგებელი ან ანაზღაურება, რომელიც იანგარიშება კონტრაგენტებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან;

ბ. მიიღოს მისი მეშვეობით კონტრაგენტებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი გადასახადი ან სხვა რაიმე სარგებელი;

გ. მიიღოს სარგებელი შესრულებული სამუშაოსათვის, თუ კონტრაგენტები ამის წინააღმდეგები არ არიან;

დ. მოითხოვოს ხელშეკრულებით შეთანხმებული ანაზღაურების გადახდა.

2. სავაჭრო მაკლერი პასუხს აგებს:

ა. ორივე მხარის წინაშე თავისი ბრალით გამოწვეული ზარალისათვის;

ბ. მხოლოდ დამკვეთის წინაშე;

გ. ორივე მხარის წინაშე მიყენებული ზარალისათვის მიუხედავად მისი ბრალისა;

დ. თუ მისი პასუხისმგებლობის შესახებ მითითებულია ხელშეკრულებაში.

3. სავაჭრო მაკლერი ვალდებულია მხარეებს მისცეს ამონაწერი დღიურიდან:

ა. მათი მოთხოვნით;

ბ. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ. თუ ამის თაობაზე იყო მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმება;

დ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერები დამოწმებული იქნება სანოტარო წესით.

მუხლი 13. ბულალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება

169. რომელი საწარმოების მიმართ გამოიყენება ბულალტრული აღრიცხვის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესები?

ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები თანაბრად ვრცელდება ყველა საწარმოზე. თუმცა შეიძლება ზოგიერთ შემთხვევებში კანონით დადგენილი იყოს განსხვავებული წესები.

დადგენილია ბულალტრული ანგარიშგების გამარტივებული წესები, რომლებიც გამოიყენება იმ მცირე საწარმოთა მიმართ, რომელთაც:

1. ჰყავთ სრულ შტატში არაუმეტეს ათი თანამშრომლისა და

2. სამეურნეო წლის ამონაგები არ აღემატება ორმოცი ათას ლარს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ბუღალტრული ანგარიშგების გამარტივებული წესები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სააქციო საზოგადოებების მიმართ.

170. ვის ეკისრება საწარმოში პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე?

პასუხისმგებლობა საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე ეკისრებათ საწარმოს ხელმძღვანელებს.

171. როგორი უნდა იყოს საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა?

საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს:

1. სრულყოფილი,

2. სწორი,

3. გასაგები,

4. ორმაგი აღრიცხვის სისტემაზე აგებული,

5. უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშების ნომეკლატურასა და

6. წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებთან.

შეფასება უნდა შეესაბამებოდეს წინდახედული მეწარმის, აგრეთვე მინიმალური შეფასებისა და მოგება-ზარალის მუხლის იმპარიტეტის პრინციპებს.

172. როგორი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვა მცირე საწარმოში?

მცირე საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს:

1. სწორი,

2. სრულყოფილი,

3. გასაგები,

4. უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშების ნომე-კლატურასთან.

ასეთი საწარმო საინვენტარიზაციო აღწერილობის საფუძველზე შეადგენს ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალსა და სამეურნეო წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს.

173. <u>რა სახის მონაცემების შეტანის ვალდებულება ეკისრებათ საწარმოს ხელმძღვანელებს საინვენტარიზაციო აღწერილობაში?</u>

საწარმოს ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან საწარმოს საქმიანობის დაწყებისა და ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებისას საინვენტარიზაციო აღწერილობაში შეიტანონ მონაცემები მიწის ნაკვეთების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ნაღდი ფულის ოდენობის, ძირითადი საშუალებებისა და ყველა სხვა მატერიალურ ფასეულობათა შესახებ.

174. <u>არის თუ არა აუცილებელი საინვენტარიზაციო აღწერილობის შესადგენად ჩატარდეს სრული ინვენტარიზაცია საწარმოში სამეურნეო წლის დამთავრებისას?</u>

სამეურნეო წლის დამთავრებისას საინვენტარიზაციო აღწერილობის შესადგენად აუცილებელი არ არის სრული ინვენტარიზაციის ჩატარება, თუ:

-ბუღალტრული აღრიცხვა სრული ინვენტარიზაციის გარეშეც უზრუნველყოფს ქონებრივი შემადგენლობის დადგენას მათი სახეობების, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით.

175. <u>რა ხანგრძლივობით განისაზღვრება სამეურნეო წელი?</u>

სამეურნეო წლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ თვეს.

176. <u>რა შემთხვევებში არ არის აუცილებელი საწარმოში სამეურნეო წლის ბოლოს ინვენტარიზაციის ჩატარება?</u>

სამეურნეო წლის ბოლოს ინვენტარიზაციის ჩატარება არ არის აუცილებელი, თუ:

1. საწარმომ თავისი ქონებისა და ვალდებულების სრული ან შერჩევითი შემოწმება ჩაატარა სამეურნეო წლის დასასრულამდე სამი თვის განმავლობაში და

2. საბუღალტრო აღრიცხვით უზრუნველყოფილი იქნება სამეურნეო წლის ბოლოსათვის ქონებისა და ვალდებულებების რეალური მდგომარეობის დადგენა.

<u>177. რა სახის დოკუმენტების შენახვა ეკისრება საწარმოს?</u>

საწამოს ხელმძღვანელებს ეკისრებათ ვალდებულება შეინახონ შემდეგი სახის დოკუმენტები:

1. საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები;

2. მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია;

3. საბუღალტრო წიგნში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები.

<u>178. რა ვადის განმავლობაში უნდა ინახებოდეს საწარმოში ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია, საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები, საბუღალტრო წიგნში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები?</u>

საწარმოს ხელმძღვანელებს აღნიშნული დოკუმენტების შენახვა ეკისრებათ ათი წლის განმავლობაში.

179. როდის უნდა შედგეს საწარმოში წლიური ანგარიშგება და საქმიანობის ანგარიში და ვის მიერ?

საწარმოში წლიური ანგარიშგება (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში), აგრეთვე საქმიანობის ანგარიში უნდა შედგეს საზოგადოების ხელმძღვანელების მიერ სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში.

180. რისი შედგენის ვალდებულება ეკისრებათ მცირე საწარმოს ხელმძღვანელებს სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში?

მცირე საწარმოს ხელმძღვანელებმა სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში უნდა შეადგინონ ქონებისა და ვალდებულების ჩამონათვალი და შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

181. შეუძლია თუ არა სასამართლოს მხარეებს შორის დავის წარმოშობისას საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს საბუღალტრო წიგნები?

დავის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით, ისევე როგორც რომელიმე მხარის განცხადების საფუძველზე, მოითხოვოს ერთ-ერთი მოდავე მხარის საბუღალტრო წიგნები.

იმ შემთხვევაში კი, თუ წარმოდგენილი იქნება საბუღალტრო წიგნები, მაშინ მხარეთა თანდასწრებით შეიძლება მათი შინაარსის გაცნობა, თუ ისინი დავის საგანს შეეხება.

აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს მათი ამონაწერი.

წიგნების სხვა მონაცემები სასამართლოს შეიძლება წარედგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის სისწორის შესამოწმებლად.

ქონებრივი დავის დროს, კერძოდ, მემკვიდრეობის, საზო-

გადოების გაყოფის საქმეებზე სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ყველა წიგნის წარდგენა მათი სრული შინაარსის გაცნობის მიზნით.

ის, ვისაც შეუძლია საჭირო დოკუმენტების წარდგენა ვიდეო, აუდიო ან სხვაგვარი ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, ვალდებულია საკუთარი ხარჯებით წარმოადგინოს ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც აუცილებელია დოკუმენტების წასაკითხად. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დაბეჭდოს ეს დოკუმენტები ან ტექნიკური საშუალებების გარეშე წარადგინოს მათი ისეთი რეპროდუქცია, რომლის წაკითხვაც შესაძლებელი იქნება.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. ბუღალტრული აღრიცხვის წესები ვრცელდება:

ა. მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებზე;

ბ. იმ საწარმოებზე, რომლებიც დაფუძნებულია სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით ან რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია სახელმწიფო;

გ. ყველა საწარმოს მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მცირე საწარმოების მიმართ სხვა წესებია დადგენილი;

დ. ყველა საწარმოს მიმართ.

2. ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული წესები გამოიყენება:

ა. მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ;

ბ. იმ მცირე საწარმოთა მიმართ, რომელთაც შტატში ჰყავთ არაუმეტეს ხუთი თანამშრომლისა;

გ. იმ მცირე საწარმოთა მიმართ, გარდა სააქციო საზოგადოებებისა, რომელთაც შტატში ჰყავთ არაუმეტეს ათი თანამშრომლისა და რომელთა სამეურნეო წლის ამონაგებიც არ აღემატება 40 ათას ლარს;

დ. ნებისმიერი საწარმოს მიმართ, თუ აღნიშნულის თაობაზე მითითებულია საწარმოს წესდებაში.

3. სამეურნეო წელი განისაზღვრება:

ა. სულ ცოტა თორმეტი თვით;

ბ. არაუმეტეს თორმეტი თვით;

გ. წესდებაში მითითებული ვადით;

დ. გადასახადის გადახდის პერიოდულობის მიხედვით.

4. საწარმოს ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში უნდა შედგეს:

ა. სამეურნეო წლის დამთავრებიდან უმოკლეს ვადაში;

ბ. არა უგვიანეს ერთი თვისა სამეურნეო წლის დამთავრებიდან;

გ. არა უგვიანეს პირველი სამი თვისა სამეურნეო წლის დამთავრებიდან;

დ. ნებისმიერ დროს საზოგადოების დირექტორის მოთხოვნის შესაბამისად.

5. საბუღალტრო წიგნები და მასში არსებული ჩანაწერების დამადასტურებელი დოკუმენტები საწარმოში უნდა ინახებოდეს:

ა. ათი წლის განმავლობაში;

ბ. სამი წლის განმავლობაში;

გ. საწარმოს არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე;

დ. წესდებით დადგენილი ვადის განმავლობაში.

მუხლი 14. ჩანგრძლივობა, ლიკვიდაცია. გარდაქმნა. შერწყმა. გაყოფა ნატურით

182. რა ვადით შეიძლება შეიქმნას საზოგადოება?

საზოგადოება შეიძლება შეიქმნას როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით.

183. არის თუ არა აუცილებელი მიეთითოს წესდებაში საწარმოს შექმნის ხანგრძლივობა?

საზოგადოების წესდებაში არ არის აუცილებელი მიეთითოს საწარმოს შექმნის ხანგრძლივობის შესახებ.

აღნიშნული მითითების არარსებობის შემთხვევაში ითვლება, რომ საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

184. როდის შეიძლება გავიდეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებიდან?

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა შესაძლებელია სამეურნეო წლის ბოლომდე 12 თვით ადრე.

ამასთან, შეიძლება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების წესდებით პარტნიორების საზოგადოებიდან გასვლისათვის დაწესებული იყოს უფრო ხანგრძლივი ვადაც.

185. იწვევს თუ არა სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებების დაშლას რომელიმე პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან?

გასვლის შესახებ პარტნიორის განცხადება, როგორც წესი, იწვევს მხოლოდ შესაბამისი პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლას.

თუმცა შესაძლებელია პარტნიორის გასვლამ, თუ ეს გათვალისწინებული იქნება საზოგადოების წესდებით, გამოიწვიოს საზოგადოების ლიკვიდაციაც.

186. ხმათა რა რაოდენობის მფლობელი პარტნიორების გასვლის შემთხვევაში ექვემდებარება ლიკვიდაციას სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებები?

სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური

საზოგადოებები ექვემდებარება ლიკვიდაციას, თუ:

-გასვლის შესახებ განაცხადებენ ხმათა 50%-ზე მეტის მფლობელი პარტნიორები.

187. <u>შესაძლებელია თუ არა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების დაშლა ერთი პარტნიორის მიერ?</u>

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების დაშლა დაუშვებელია ერთი პარტნიორის მიერ.

188. <u>ხმათა რა ოდენობის მფლობელ პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე?</u>

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება, თუ:

-ამას გადაწყვეტენ 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელი პარტნიორები.

189. <u>რა ვალდებულება ეკისრებათ საწარმოს ხელმძღვანელებს საწარმოს გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების შემთხვევაში?</u>

საწარმოს ხელმძღვანელებს საწარმოს გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების წარმოშობისას ეკისრებათ ვალდებულება ბრალეული გაჭიანურების გარეშე, საწარმოს გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დადგომის დღიდან არაუგვიანეს სამი კვირისა განაცხადონ საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

190. <u>რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოს ხელმძღვანელებს, თუ ისინი დროულად არ განაცხადებენ</u>

საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ?

საწარმოს ხელმძღვანელები, თუ ისინი დროულად არ განაცხადებენ საწარმოს გაკოტრების საქმის აღძვრის შესახებ, ვალდებულნი არიან საზოგადოებას აუნაზღაურონ გადახდისუუნარობის დადგომის ან ზედავალიანების დადგენის შემდეგ გაღებული ხარჯები.

აღნიშნული პირები პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდებიან, თუ დაამტკიცებენ, რომ ისინი მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად.

191. რა შემთხვევაში ინიშნებიან ლიკვიდატორები სასამართლოს მიერ?

ლიკვიდატორებს, როგორც წესი, ნიშნავს თვით საზოგადოება, თუმცა რომელიმე მონაწილის შუამდგომლობით თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, ლიკვიდატორების დანიშვნა შეიძლება იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი.

192. ვინ შეიძლება იყვნენ ლიკვიდატორები?

ლიკვიდატორები არიან საზოგადოების ხელმძღვანელები, თუმცა სასამართლოს მიერ ლიკვიდატორებად შეიძლება დაინიშნონ სხვა პირებიც.

193. რა ვალდებულებები ეკისრებათ ლიკვიდატორებს?

ლიკვიდატორები ვალდებულნი არიან:

1. დანიშვნისთანავე შეადგინონ საწარმოს ბალანსი,

2. აცნობონ საწარმოს საბულალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს სპეციალური შეტყობინებით საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, საჯარო განცხადებით და

3. მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისათვის,

4. დაამთავრონ მიმდინარე საქმეები,

5. განახორციელონ აქტივები და

6. შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან არ გამომდინარეობს დავალიანება,

7. დავალიანების დადგომისთანავე აცნობონ სასამართლოს ამის თაობაზე,

8. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს ყოველწლიურად შეადგინონ შუალედური ბალანსები.

194. ვინ წარმოადგენს საზოგადოებას ლიკვიდაციის პროცესში?

საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში წარმოადგენენ ლიკვიდატორები.

195. რა უფლებებით სარგებლობენ ლიკვიდატორები?

ლიკვიდატორებს უფლება აქვთ:

1. წარმართონ საზოგადოების გარიგებებთან დაკავშირებული პროცესები,

2. დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან

3. მორიგებით დაასრულონ დავები, ხოლო თუ საჭიროა,

4. ჩაერთონ ახალ გარიგებებშიც,

5. გაყიდონ აქტივები.

196. ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა საზოგადოებას ლიკვიდატორების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე?

საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის საქმიან მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის.

197. როგორ აგებენ ლიკვიდატორები პასუხს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის?

ლიკვიდატორები საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.

198. როგორ უნდა განაწილდეს ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება?

ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

საზოგადოების წესდებით შესაძლებელია დადგენილი იყოს დარჩენილი ქონების განაწილების სხვა წესიც.

199. რა ვადაში ხდება ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილება?

ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილება შეიძლება განხორციელდეს ლიკვიდაციიდან მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა იანგარიშება იმ დღიდან, როცა მოვალეები მესამედ იქნენ პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებულნი.

შესაძლებელია განაწილება მოხდეს ერთი წლის გასვლამდეც სასამართლოს მიერ, თუკი არსებული ვითარებიდან გამომდინარე ეს საფრთხეს არ შეუქმნის კრედიტორებს.

200. როგორ ხდება იმ ცნობილ კრედიტორთა დაკმაყოფილება, რომლებიც არ განაცხადებენ თავიანთი მოთხოვნების შესახებ?

თუ ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთი მოთხოვნების შესახებ, სასამართლოსგან მოხდება მათი მოთხოვნის ღირებულების დეპონირება.

201. შეიძლება თუ არა საზოგადოების გარდაქმნა ისე, რომ

<u>შენარჩუნებული იქნეს პარტნიორთა წილობრივი ურთიერთობები და საქმიანობის საგანი?</u>

პარტნიორებს შეუძლიათ ერთი ფორმის საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს წილობრივი ურთიერთობები და საზოგადოების საქმიანობის საგანი.

<u>202. რა პერიოდშია ნებადართული საზოგადოების გარდაქმნა?</u>

საზოგადოების გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით.

<u>203. როგორ მიიღება გადაწყვეტილება საზოგადოებათა გარდაქმნის შესახებ სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კოოპერატივში?</u>

საზოგადოებათა გარდაქმნის შესახებ სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კოოპერატივში გადაწ-ყვეტილება მიიღება ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობით.

<u>204. როგორ მიიღება გადაწყვეტილება შერწყმის შესახებ სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კოოპერატივში?</u>

შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კოოპერატივში საჭიროა ხმათა საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა.

<u>205. როგორ მიიღება გადაწყვეტილება შერწყმის შესახებ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში?</u>

გადაწყვეტილება შერწყმის შესახებ სოლიდარული პასუხის-მგებლობის საზოგადოებაში მიიღება ერთხმად.

<u>206. რას უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილება საზოგადოებათა</u>

შერწყმის შესახებ?

გადაწყვეტილება შერწყმის შესახებ უნდა შეიცავდეს:

1. მითითებას, ერთი საზოგადოება უერთდება მეორეს, თუ

2. ორივე საზოგადოება ერთიანდება ერთ ახალ საზოგადოებად,

თუ შერწყმის დროს მოხდება გადახვევები საბალანსო ღირებულებებიდან, შერწყმის ბალანსში ღირებულება უნდა დაზუსტდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებამ უნდა განსაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ საწესდებო კაპიტალში მათი წილის პრინციპებით.

207. რა შემთხვევაში შეიძლება საწარმოს ნატურით გაყოფა?

საწარმო შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში მყოფ საწარმოებად და მათ გააგრძელონ საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელმა საწარმო-სუბიექტებმა საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (გაყოფა ნატურით), თუ ამ საწარმოს შემადგენლობაში რამდენიმე საწარმოო ერთეულია.

208. რომელი ღირებულებითაა დასაშვები ნატურით გაყოფა?

ნატურით გაყოფა დაიშვება საბალანსო ღირებულებით.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება უფრო მაღალი ღირებულება, მისი შემოწმება უნდა მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

209. შეიძლება თუ არა, რომ ადრინდელი პარტნიორები ნატურით გაყოფილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე?

ადრინდელი პარტნიორები ნატურით გაყოფილ საწარმოში შეიძლება მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე.

210. <u>როგორ აგებენ პასუხს გაყოფის შედეგად წარმოქმნილი ლიკვიდირებული საწარმოები თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებულ ვალდებულებებზე?</u>

გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.

211. <u>როდის დაიშვება საწარმოთა შერწყმა და ნატურით გაყოფა?</u>

საწარმოთა შერწყმა და ნატურით გაყოფა დაიშვება მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით.

ტესტები

1. <u>სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა ნებადართულია:</u>

ა. მისი სურვილით ნებისმიერ დროს;

ბ. სამეურნეო წლის ბოლომდე 12 თვით ადრე;

გ. წესდებით გათვალისწინებული წესითა და შემთხვევებში;

დ. სამეურნეო წლის ბოლომდე 6 თვით ადრე.

2. <u>დაუშვებელია შპს-ს დაშლა:</u>

ა. ერთი პარტნიორის მიერ;

ბ. საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე;

გ. სამეურნეო წლის დამთავრებამდე;

დ. სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე.

3. <u>თუ ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილებისას წარმოიშობა დავა პარტნიორებს შორის:</u>

ა. ლიკვიდატორები მოიწვევენ საერთო კრებას და გადაწყ-

ვეტენ საკითხს;

ბ. საზოგადოების დირექტორი მიმართავს სასამართლოს საკითხის გადასაწყვეტად;

გ. ლიკვიდატორები ვალდებულნი არიან შეწყვიტონ ქონების განაწილება დავის კანონიერ გადაწყვეტამდე;

დ. უპირატესობა ენიჭებათ იმ მოვალეების, რომელთა მოთხოვნის უფლებაც უფრო ადრეა წარმოშობილი.

4. <u>სააქციო საზოგადოებაში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება:</u>

ა. ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობით;

ბ. დამსწრეთა 3/4-ის მიერ;

გ. ხმათა საერთო უმრავლესობის 2/3-ის შემადგენლობით;

დ. დამსწრეთა 4/5-ის მიერ.

<u>5. ნატურით გაყოფა დაიშვება:</u>

ა. წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის;

ბ. წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით;

გ. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ;

დ. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 15. *ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები*

<u>212. ხანდაზმულობის რა ვადაა დადგენილი "მეწარმეთა შესახებ" კანონიდან გამომდინარე პრეტენზიების წარდგენისათვის?</u>

პრეტენზიების წარდგენისათვის ხანდაზმულობის ვადა არის 5 წელი, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს.

213. <u>რა პერიოდიდან ხდება პრეტენზიების წარსადგენად ხანდაზმულობის ვადის ათვლა?</u>

პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადის ათვლა ხდება მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლიდან.

თუმცა შესაძლებელია კანონით დადგენილი იყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლის სხვა პერიოდი.

214. <u>რა ვადაში უნდა მოხდეს პარტნიორთა კრების, საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება?</u>

პარტნიორთა კრების, საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება უნდა მოხდეს შესაბამისი კრების ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაში.

215. <u>რა ვადაში უნდა მოხდეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება?</u>

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაში.

216. <u>შეიძლება თუ არა გაგრძელებული იქნეს პარტნიორთა კრების, საერთო და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების 2 თვიანი ვადა?</u>

პარტნიორთა კრების, საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების კანონით დადგენილი 2 თვიანი ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

ტ ე ს ტ ე ბ ი:

<u>1. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის:</u>

ა. 3 წელი მათი წარმოშობის მომენტიდან;

ბ. 1 წელი მათი წარმოშობიდან;

გ. 5 წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს;

დ. წესდებით განსაზღვრული ვადა.

2. საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია:

ა. კრების ოქმის შედგენიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ;

ბ. კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ;

გ. კრების ჩატარებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ;

დ. კრების ჩატარებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 16. ფილიალები

217. წარმოადგენს თუ არა იურიდიულ პირს ფილიალები?

ფილიალი იურიდიულ პირს არ წარმოადგენს.

218. რომელ სასამართლოს უნდა ეცნობოს ფილიალის შექმნის შესახებ?

ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს.

219. შესანახად რომელ სასამართლოში უნდა გაკეთდეს კანონით დადგენილ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა ხელმოწერები?

კანონით დადგენილ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა ხელმოწერები უნდა გაკეთდეს ფილიალის მარეგისტრირებელ ანუ მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოში.

220. რა საბუთები უნდა წარედგინოს სასამართლოს

ფილიალის რეგისტრაციისათვის?

სასამართლოს ფილიალის რეგისტრაციისათვის უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

1. საწარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება ფილიალის შექმნის შესახებ;

2. ფილიალის საქმინობის მოკლე აღწერა;

3. საწარმოს წესდების ასლი;

4. გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;

5. საწარმოს რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა.

ტ ე ს ტ ე ბ ი:

1. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება:

ა. საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს;

ბ. ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს;

გ. როგორც საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით არსებულ სასამართლოს, ისე ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს;

დ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

2. ფილიალის მარეგისტრირებელ სასამართლოს წარმოადგენს:

ა. ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებული სასამართლო;

ბ. საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით არსებული სასამართლო;

გ. როგორც საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით არსებული სასამართლო, ისე ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებული სასამართლო;

დ. შესაბამისი საოლქო სასამართლო.

3. ფილიალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერები შესანახად უნდა გაკეთდეს:

ა. ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებული სასამართლოში;

ბ. საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით არსებული სასამართლოში;

გ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში;

დ. შესაბამის საოლქო სასამართლოში.

მუხლი 17. საწარმოთა ურთიერთკავშირი (კონცერნი).

221. წილის რა ოდენობას უნდა ფლობდეს ერთი საწარმო მეორე საწარმოში, რომ წარმოეშვას აღნიშნულის თაობაზე მისთვის ამის შეტყობინების ვალდებულება?

თუ ერთი საწარმოს ხელში აღმოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მეორე საწარმოში წილის არანაკლებ 5%, მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე საწარმოს.

222. რა შემთხვევაში ეკისრება საწარმოს მოვალეობა განაცხადოს არაძირითად საწარმოში მონაწილეობის შესახებ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის?

თუ საწარმოს ხელში აღმოჩნდება საქართველოში მდებარე სხვა საწარმოში ხმის უფლების მქონე წილთა 50%-ზე მეტი, მაშინ ძირითად საწარმოს ეკისრება მოვალეობა განაცხადოს არაძირითად საწარმოში მონაწილეობა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის.

223. <u>შესაძლებელია თუ არა ხელშეკრულებით საწარმოთა შორის ისეთი შეთანხმება, რომლითაც ერთი საწარმოს ორგანოები დაემორჩილებიან სხვა საწარმოს ნებას?</u>

ხელშეკრულება, რომლითაც ერთი საწარმოს ორგანოები დაემორჩილებიან სხვა საწარმოს ნებას, ბათილია.

224. <u>შესაძლებელია თუ არა რომელიმე საზოგადოების საწესდებო კაპიტალში 5%-ზე მეტი ორმხრივი წილობრივი მონაწილეობა?</u>

რომელიმე საზოგადოების საწესდებო კაპიტალში 5%-ზე მეტი ორმხრივი წილობრივი მონაწილეობა დაუშვებელია.

აღნიშნულში იგულისხმება, რომ არ შეიძლება ერთი საწარმო ფლობდეს მეორე საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილის 5%-ზე მეტს, მაშინ როცა ეს უკანასკნელი უკვე ფლობს პირველი საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილთა 5%-ზე მეტს.

ტ ე ს ტ ე ბ ი:

<u>1. საწარმოს ეკისრება მეორე საწარმოსათვის შეტყობინების ვალდებულება, თუ:</u>

ა. მის ხელში აღმოჩნდება მეორე საწარმოში წილის არანაკლებ 3%;

ბ. მის ხელში აღმოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მეორე საწარმოში წილის არანაკლებ 5%;

გ. მის ხელში აღმოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მეორე საწარმოში წილის არანაკლებ 75%;

დ. მის ხელში აღმოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მეორე საწარმოში წილის 1%-ზე მეტი;

<u>2. ხელშეკრულება, რომლითაც ერთი საწარმოს ორგანოები ემორჩილებიან მეორე საწარმოს ორგანოებს:</u>

ა. უნდა იყოს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში;

ბ. ბათილია;

გ. უნდა იყოს მოწონებული საერთო კრების მიერ;

დ. უნდა იყოს ნებადართული ორივე საწარმოს წესდებით.

3. დაუშვებელია რომელიმე საზოგადოების საწესდებო კაპიტალში:

ა. ხუთ პროცენტზე მეტი ორმხრივი წილობრივი მონაწილეობა;

ბ. სამ პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობა;

გ. სამ პროცენტზე მეტი ორმხრივი წილობრივი მონაწილეობა;

დ. ორმხრივი წილობრივი მონაწილეობა არანაკლებ სამი პროცენტისა.

მუხლი 18. გამოქვეყნება და კონფიდენციალობა

225. რა სახის ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება ეკისრება საწარმოს?

საწარმოს ეკისრება ვალდებულება გამოაქვეყნოს:

1. სამეწარმეო რეესტრის მონაცემები,

2. ინფორმაცია 17.2. მუხლის მიხედვით საწარმოში წილობრივი მონაწილეობისა და

3. პარტნიორთა კრებების შესახებ.

226. შესაძლებელია თუ არა შეიზღუდოს ინფორმაციისა და ფაქტების გამოქვეყნების ვალდებულება?

შესაძლებელია მოხდეს ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულების შეზღუდვა, კერძოდ, გარკვეული სახის ინფორმაციის ან ფაქტების გამოსაქვეყნებლად საჭირო იყოს სამეთვალყურეო კრების წინასწარი თანხმობა (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:

1. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს,

2. ინფორმაციას 17.2. მუხლის მიხედვით წილობრივი მონაწილეობის შესახებ,

3. ინფორმაციას საერთო კრებების შესახებ.

227. <u>შეიძლება თუ არა კონფიდენციალური იყოს სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის წევრთა კრების შედეგები?</u>

კონფიდენციალობის კანონით დადგენილი წესები არ გამოიყენება სააქციო საზოგადოების საერთო კრებისა და რეგისტრირებული კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიმართ.

ტესტები

1. <u>საწარმო ვალდებულია გამოაქვეყნოს:</u>

ა. სამეწარმეო რეესტრის მონაცემები;

ბ. ინფორმაცია დამფუძნებელთა (სახელი, გვარი, პროფესია, წილობრივი მონაწილეობა და ა.შ.) და საქმიანობის საგნის შესახებ;

გ. ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი სამეურნეო ოპერაციის შესახებ;

დ.ნებისმიერი ინფორმაცია მესამე პირთა მოთხოვნით თუ იქნება საერთო კრების თანხმობა.

2. <u>კონფიდენციალობა არ გამოიყენება:</u>

ა. მხოლოდ სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიმართ;

ბ. სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების საერთო კრებების მიმართ;

გ. მხოლოდ რეგისტრირებული კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიმართ;

დ. თუ ამის თაობაზე აღნიშნულია დაინტერესებულ პირთა მოთხოვნაში.

მუხლი 19. სხვა წესები: სანოტარო ფორმა. საქმიანი წერილის ბლანკის მონაცემები. ექსპერტების დანიშვნა

228. საზოგადოების რა სახის შეთანხმებები მოითხოვს სანოტარო წესით სავალდებულო დამოწმებას?

ყველა შეთანხმება, რომლითაც იქმნება ან უქმდება საწარმო, აგრეთვე ყოველგვარი ცვლილება მათში მოითხოვს სანოტარო წესით სავალდებულო დამოწმებას.

229. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების მიერ გაგზავნილი საქმიანი წერილები?

საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე, რომლებიც გაეგზავნებათ ადრესატებს, მითითებული უნდა იყოს:

1. საზოგადოების სამართლებრივი ფორმა,

2. ადგილსამყოფელი,

3. საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით სარეგისტრაციო ორგანო,

4. რეგისტრაციის ნომერი,

5. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი.

230. რა დამატებითი მოთხოვნები წარედგინება სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის საქმიან წერილებს?

სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის მიერ გაგზავნილ საქმიან წერილებზე გარდა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ადგილსამყოფელის, სარეგისტრაციო ორგანოს, რეგისტრაციის ნომრისა და საწესდებო კაპიტალისა, ასევე უნდა მიეთითოს:

1. ყველა დირექტორი,

2. აუცილებლობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გვარისა და სახელის მითითებით და

3. დირექტორატის თავმჯდომარე.

231. ვინ მიიჩნევა დამოუკიდებელ ექსპერტად?

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში აღნიშნულ დამოუკიდებელ ექსპერტად მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი.

232. ვინ მიიჩნევა აუდიტორად ან სააუდიტო საზოგადოების პირად?

აუდიტორად ან სააუდიტო საზოგადოების პირად მიიჩნევა პირი, რომელსაც:

1. სახელმწიფოსგან აქვს უფლებამოსილება შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და

2. ანგარიშიანობა ზოგადად და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანაზმად და

3. რომელიც ეკონომიკურად და

4. პიროვნულად დამოუკიდებელია როგორც შესამოწმებელი საწარმოსაგან, ისე მათი თანამდებობის პირებისაგან.

233. რა წესით ინიშნება საზოგადოების აუდიტორი?

საზოგადოების აუდიტორი ინიშნება მხარეთა შეთანხმებით.

234. რა შემთხვევაში ნიშნავს აუდიტორს სასამართლო?

მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის განცხადებით აუდიტორს ნიშნავს სასამართლო.

235. რომელი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას

აუდიტორის დანიშვნის შესახებ?

მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში აუდიტორს ნიშნავს საწარმოს ადგილსამყოფელის ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო.

ტესტები

1. სანოტარო წესით დამოწმებას მოითხოვს:

ა. მხოლოდ ის შეთანხმება, რომლითაც იქმნება საზოგადოება;

ბ. მხოლოდ საზოგადოების წესდება;

გ. ყველა შეთანხმება, რომლითაც იქმნება ან უქმდება საწარმო, აგრეთვე ყოველგვარი ცვლილება მათში;

დ. საწარმოს წესდებით განსაზღვრული დოკუმენტები.

2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში აუდიტორი იხიშნება:

ა. საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლოს მიერ,

ბ. საწარმოს ადგილსამყოფელის ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლოს მიერ;

გ. საწარმოს წესდებით განსაზღვრული წესით;

დ. მხარეთა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მიერ.

ტესტების პასუხები

მუხლი 1. *1. "ბ"; 2. "ბ"; 3."ბ".*

მუხლი 2. *1. "ბ"; 2. "ა"; 3."დ"; 4. "ბ"; 5. "დ".*

მუხლი 3. 1. “დ”; 2. “დ”; 3. “ბ”;
4. “დ” 5. “ბ”.

მუხლი 4. 1. “ა”; 2. “დ”.

მუხლი 5. 1. “ა”; 2. “ბ”; 3. “ბ”;
4. “ბ”.

მუხლი 6. 1. “დ”; 2. “ბ” 3. “ბ”
4. “ბ”

მუხლი 7. 1. “დ” 2. “ბ”

მუხლი 8. 1. “ბ” 2. “ა” 3. “ბ”

მუხლი 9. 1. “ბ” 2. “ბ” 3. “ბ”
4. “ბ” 5. “ა” 6. “დ” 7. “ბ”

მუხლი 10. 1. “ბ” 2. “ბ” 3. “ბ” 4. “ბ”
5. “ბ” 6. “ა” 7. “ბ”

მუხლი 11. 1. “დ” 2. “ბ” 3. “ბ” 4. “ბ”
5. “ბ” 6. “ბ”

მუხლი 12. 1. “ბ” 2. “ა” 3. “ა”

მუხლი 13. 1. “ბ” 2. “ბ” 3. “ბ” 4. “ბ’
5. “ა”

მუხლი 14. *1. "ბ" 2. "ა" 3. "გ" 4. "ა" 5. "ბ"*

მუხლი 15. *1. "გ" 2. "ბ"*

მუხლი 16. *1. "ა" 2. "ა" 3. "ა"*

მუხლი 17. *1. "ბ" 2. "ბ" 3. "ა'*

მუხლი 18. *1. "ა" 2. "ბ"*

მუხლი 19. *1. "გ" 2. "ბ"*

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან 2

მუხლი 1. გამოყენების სფერო 5

კითხვა-პასუხები 5

ტესტები 7

მუხლი 2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართ-ლებრივი ფორმები. მათი დაფუძნება 8

კითხვა-პასუხები 8

ტესტები 11

მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვილებები საწესდებო კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები 13

კითხვა-პასუხები 13

ტესტები 20

მუხლი 4. სამეწარმეო რეესტრი 21

კითხვა-პასუხები 21

ტესტები 22

მუხლი5. რეგისტრაციის პირობები 23

კითხვა-პასუხები 23

ტესტები 29

მუხლი6. საფირმო სახელწოდება (ფირმა) 30

კითხვა-პასუხები 30

ტესტები 32

მუხლი 7. რეესტრის საჯაროობა 33
კითხვა-პასუხები 33
ტესტები 34

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ საწარმოში, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებაში სხვა საწარმოს შეძენის დროს 35
კითხვა-პასუხები 35
ტესტები 37

მუხლი 9. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. საკონსულტაციო საბჭო 39
კითხვა-პასუხები 48
ტესტები

მუხლი 10. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა)და იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება 51
კითხვა-პასუხები 51
ტესტები 53

მუხლი 11. სავაჭრო წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოვაჭრე. კომისიონერი 55
კითხვა-პასუხები 55
ტესტები 63

მუხლი 12. სავაჭრო მაკლერი 65
კითხვა-პასუხები 65
ტესტები 69

მუხლი 13. ბულალტრული აღრიცხვა და ანგარიშ-გება 70
კითხვა-პასუხები 70
ტესტები 75

მუხლი 14. ხანგრძლივობა. ლიკვიდაცია. გარდაქმნა. შერწყმა. გაყოფა ნატურით 76
კითხვა-პასუხები 76
ტესტები 84

მუხლი 15. ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები *85*
კითხვა-პასუხები 85
ტესტები 86

მუხლი 16. ფილიალები 87
კითხვა-პასუხები 87
ტესტები 88

მუხლი 17. საწარმოთა ურთიერთკავშირი (კონცერნი) 89
კითხვა-პასუხები 89
ტესტები 90

მუხლი 18. გამოქვეყნება და კონფიდენცია ლობა 91
კითხვა-პასუხები 91
ტესტები 92

მუხლი 19. სხვა წესები: სანოტარო ფორმა. საქმიანი წერილის ბლანკის მონაცემები. ექსპერტების დანიშვნა 93

კითხვა-პასუხები 93

ტესტები 95

ტესტების პასუხები 95

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 03. 2001
ქაღალდი ოფსეტური, ბეჭდვა რიზოგრაფზე
ქაღალდის ზომა 70X84 1\32
ტირაჟი 250
ფასი სახელშეკრულებო

იურიდიული ფირმა "ბონა კაუზა"
მის. თაბუკაშვილის ქ. №1